პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 191 (12 261)
15 აგვისტო ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

24th Universiade Bangkok 2007
8th-18th August 2007

გრიგოლ შინჯიკაშვილი უნივერსიადის ჩემპიონია 10



რვაში ოთხი
დანარჩენიც ოფიციალურებში ვნახოთ 9



ოლიმპიური ჩემპიონის დაბრუნება 10



ტელეკონტრაქტები

ცივილიზაციის ნიშნები ქართულ ფეხბურთში

ჩემპიონატისა და თასის სარეკლამო უფლებები ტელესააგენტო კოლხიდას, ფული კლუბებს

ტელეკონტრაქტები, ანუ ბიძგი ფეხბურთის განვითარებისთვის 3



მარქსისტი რივენისხედან

კლაუს ტოპმიოლერის სამწვრთნელო სიმწიფე 2

IRB Rugby World Cup 2007 France

მზადება, თამაში მესამე

საქართველო-აჟენი 13:31

საქართველო: (15-9) ჯიმშელაძე, ხამაშურიძე, გიგაური (ბარკალაია), კაჭარავა, შკინინი (ელიზბარაშვილი), კვირიკაშვილი, აბუსერიძე (სამხარაძე); (1-8): მაგრაქველიძე (შველიძე), ა. გიორგაძე, ზირაქაშვილი (კოპალიანი), ზედგინიძე (დათუნაშვილი), გორგოძე, ი.მაისურაძე (სუთიაშვილი), ლაბაძე, ჩხაიძე - *ლ (ი.მაისურაძე) გ, 2ს (კვირიკაშვილი)*

აჟენი:(15-9) აოტაეილოა, ვენკიური, მიკელი, მირანდე, ვაკა, ჟელეზი, ბარო; (1-8) ფანნიკერკი, ნარჟისი, ვინია, შტოლცი, ლაფიტი, სომი, ბადენჰორსტი, სუკაზი; (16-22) ტიატია, დებატი, ფეიქრიშვილი, მონრიბო; დუპუა, მინიარდი, გიტუნი.

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა, საფრანგეთში მსოფლიო თასისთვის მზადების ეგიდით კიდევ ერთი, მესამე საწვრთნელი შეხვედრა გამართა და **ანრი ბრონკანის** "აჟენთან" 13:31 დამარცხდა.

ბორჯღალოსნებს ამჯერად ნამდვილად სერიოზული მეტოქე ჰყავდათ. ჩვენი მოწინააღმდეგის შემადგენლობაში რამდენიმე უმაღლესი დონის მორაგბე თამაშობს, რომლებსაც თავიანთი ქვეყნების ნაკრებებში თამაშის დიდი გამოცდილება აქვთ.

პირველ ნახევარში საქართველოს ნაკრებმა მოწინააღმდეგეს თანაბარი, უშელავათო ბრძოლა გაუმართა. ტაიმი ბორჯღალოსნებმა მხოლოდ ოთხი ქულით 10:14 დათმეს. ერთადერთი ლელო ჩვენმა მორაგბეებმა ტაიმის ბოლოს, ხუთმეტრიანი დერეფნიდან აგორებული მოლით გაიტანეს. ლელო ფლანკერმა **ილია მაისურაძემ** მიითვალა. ამ დროს ფრანგული კლუბი 14:3 გვიგებდა. გარდასახვა და მანამდე ერთი ჯარიმაც **მერაბ კვირიკაშვილის** ანგარიშზეა.

მეორე ნახევარში ქართველ მორაგბეებს დაღლა დაეტყოთ. მოწინააღმდეგემ გადამწყვეტ უპირატესობას

უკეთესი გამძლეობის წყალობით მიაღწია. მაქსიმუმი, რაც ბორჯღალოსნებმა მეორე ნახევარში შეძლეს, კვირიკაშვილის მიერ გატანილი კიდევ ერთი საჯარიმოა. ამ დროს "აჟენი" წინ თერთმეტი ქულით იყო 21:10. აღსანიშნავია, რომ "აჟენის" შემადგენლობაში მეორე ტაიმში მოედანზე ქართველი ბურჯი **ანტონ ფეიქრიშვილი** გამოჩნდა.

შემდეგ შეხვედრას საქართველოს მორაგბეთა ნაკრები არმან ვაკერენის სახელობის ტურნირზე, 19 აგვისტოს, კიდევ ერთი ელიტური ფრანგული კლუბის, "ალბის" წინააღმდეგ გამართავს.

ბესიკ ჯანგავაძე

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

კლაუს ტოპმიოლერი

მარქსისტი რივენიხიდან

კლაუს ტოპმიოლერი საზოგადოებრივად აქტიური ტიპია, გერმანიის უძველესი პარტიის, სოციალ-დემოკრატიულის წევრია. ტოპი მარქსისტია, მაგრამ არა კომუნისტი. სამი დღის წინათ დაბადების დღე ჰქონდა, 56 წლისა მოიყარა. მწვრთნელისთვის ეს სიმწიფის ასაკია - საქართველოს ეროვნული ნაკრები კი ტოპმიოლერის სიმწიფეს დამდეგ შესარჩევ ციკლში იწვნევს - იმ დროისთვის ჰერ კლაუსმა ჩვენს უპირველეს გუნდზე და ქართულ ფეხბურთზე მისხალი დეტალიც უნდა იცოდეს და შედეგიც კატეგორიულად უნდა მოეთხოვოს.

რივენიხელი ყმანვილი ინჟინრობას აპირებდა, მაგრამ გეოლოგობას ფეხბურთელობა ამჯობინა. სამოყვარულო "რივენიხიდან" ტრირის "აინტრახტში" მოხვდა, იქიდან კი "კაიზერსლაუტერნში" და ამ გუნდის ლეგენდა შეიქნა, 204 ბუნდესლიგურ მატჩში 108 გოლი გაიტანა. მერე ოკეანის გაღმა გაეშურა და ოთხი წელი "დალას ტორნადოში" ბურთაობდა. ამერიკაში წასვლამდე ნაციონალმანშაფტში მხოლოდ სამი მატჩი ითამაშა, რადგან ტრავმიანობა დასჩემდა და კიდევ ის, რომ 70-იანი წლების ბოლოს დასავლეთ გერმანიაში ძალიან ბევრი უმაღლესი კლასის ფორვარდი გამოჩნდა და ტოპი მათ, უბრალოდ, ვერ ჯობნიდა.

მაგრამ მან საკუთარი თავი შექმნა, დღემდე "კაიზერსლაუტერნის" საუკეთესო მეგოლეა. ტოპიმ მწვრთნელობაშიც ივარგა - ძალიან საინტერესო სპეციალისტად ჩამოყალიბდა, თუმც ყოველთვის აკლდა რაღაც, მისი ნაღვლიანი თვალები ცეცხლს ვერ აკვესებდა, გონება უჭრიდა, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიჰყავდა.

1993 წელს ის ფრანკფურტის "აინტრახტის" მწვრთნელი შეიქნა. მისი ხელმძღვანელობით გუნდი ჩინებულად თამაშობდა, თუმც უტიტულოდ დარჩა და ერთი წლის შემდეგ ტოპმიოლერი **იუპ ჰაინკესმა** შეცვალა. მერე იყო "ბოხუმი" და ჰერ კლაუსმა პროვინციული კლუბი 1997-98 წლების უეფას თასის გათამაშებაში მერვედფინალამდე მიიყვანა. შემდეგ "ლევერკუზენი" ჩაიბარა, 2002 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში მადრიდის "რეალთან" დამარცხდა (1:2) - ტოპმიოლერი 2002 წელს გერმანიის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს, სხვათა შორის, გერმანელ ჟურნალისტთა ასეთი გამოკითხვა მაშინ პირველად ჩატარდა.

ტოპის ბიოგრაფიაში რამდენიმე ისეთი ამბავიცაა, ცნობარებში რომ ვერ ამოიკითხავთ. რატომ წავიდა ის "ლევერკუზენიდან" 2003 წელს? კლუბმა ლუსიო, **მიხაელ ბალაკი** და **ზე რობერტო** ვერ შეინარჩუნა და შედეგებიც გაუუარესდა. ტოპმიოლერს კი არ უყვარს ციტნოტები, გამოჩნდა, რომ ის სულ სხვა ყაიდის მწვრთნელია, არ არის versatile manager- მრავალმხრივი უნარის მქონე მწვრთნელი. ცხადია, ეს სუბიექტური აზრია, მაგრამ ეს აზრი მასზე გერმანიაში შეიქმნა.

2003-04 წლების სეზონისთვის ტოპმიოლერმა "ჰამბურგი" ჩაიბარა. სეზონი დაწყებული იყო, გუნდს ყველაზე უფრო დაცვაში უჭირდა, რამეთუ კლუბმა საუკეთესო მცველები გაასხვისა. ტოპის რეკომენდაციით "ჰამბურგმა" მაშინ ბევრისთვის უცნობი მცველები აიყვანა ჰოალნდიის ჩემპიონატიდან - **დანიელ ვან ბუიტენი** და ხალიდ ბულარუზი. მათი ტრანსფერით ტოპიმ მიზანში ზუსტად მოარტყა, მერე კი შემტევი შუახაზელ **სერგეი ბარბარესი** დაცვის ცენტრში გაამწესა და ამ ნოვაციამაც გაუმართლა. "ჰამბურგი" ბევრად უკეთ ათამაშდა. მაგრამ შემდეგ დაიძაბა ურთიერთობა ტოპმიოლერსა და ფეხბურთელებს შორის. გერმანიაში ეჭვიც კი გაუჩნდათ, ფეხბურთელები განზრახ აგებენ თამაშებს, რათა გუნდს მწვრთნელი შეეცვალოსო. ტოპის ხელიდან ეცლებოდა სადავეები და 2004 წლის შემოდგომაზე "ჰამბურგიდან" წავიდა.

ტოპმიოლერის საქმიანობაზე საქართველოს ეროვნულ ნაკრებში სათქმელი ბევრია. მას ჯერ უჭირს სანაკრებო სპეციფიკისთვის თავის მობმა. 19-წლამდელთა ნაკრებში კი სულაც თავის ძმა მოგვიყვანა. ტოპმიოლერის ხელში ჩვენი უპირველესი გუნდი ჯერ მხოლოდ ფარერებთან აგროვებს ქულებს. წამყვან ფეხბურთელებს ასაკი ემატებათ და ჯერ ძალიან ბუნდოვანია, როგორ იქნება ნაკრების ბირთვი მომდევნო შესარჩევი ეტაპისთვის...

ასაკი ტოპისაც ემატება. ერთ-ერთ ინტერვიუში დაგვპირდა, სიგარეტს თავი უნდა დავანებოო. სხვა დაპირება კი მისგან ჯერ არ ჩანს.

დავით თავართქილაძე

უეფას თასი. დინამო-რაპიდი

100 ქომაგი ვენიდან

ავსტრიული დელეგაცია თბილისში დღეს, ნაშუადღევს ჩამოფრინდება. "რაპიდს" ასი გულშემატკივარი ჩამოჰყვება. ვენური კლუბი სასტუმრო "შერატონში" დაბინავდება, მისი ქომაგები კი - "ქორთიარდ მარიოტში". "რაპიდი" "მიხეილ მესხზე" 17 საათზე ივარჯიშებს, მისი მთავარი მწვრთნელის, **პეტერ პაკულტის** წინასამატჩო პრეს-კონფერენცია დაგეგმილი არაა.

სამაგიეროდ, პრესის ინტერესს **დუშან უჰრინი** დააკმაყოფილებს, მისი პრეს-კონფერენცია ვაკის სტადიონის დარბაზში საღამოს ხუთის ნახევარზე დაიწყება. იქვე გაიცემა შეხედრაზე დასასწრები აკრედიტაციები. "დინამო" "ლოკომოტივზე" საღამოს 6 საათზე ივარჯიშებს.

ხვალ "დინამო"-"რაპიდი" საღამოს 6 საათზე დაიწყება, მსურველებს მატჩზე დასწრება 3 და 5 ლარად შეეძლებათ. ბილეთები გაყიდვა მატჩის დღეს დილიდან დაიწყება. ევროტურნირს ერთადერთი ქართული გუნდი შემორჩა და იმედია გულშემატკივარი უყურადღებოდ არ დატოვებს მას და სტადიონზე მივა. ხომ იცით, რამხელა როლს თამაშობს მხურვალე ქომაგობა.

შეხვედრის პირდაპირ ტელერეპორტაჟს ტელეკომპანია "იმედი" აწარმოებს. პირდაპირი რეპორტაჟი გადაიცემა ავსტრიაშიც და არაა გამორიცხული იქაური მატჩის ხილვაც შეძლოს ქართველმა გულშემატკივარმა. საამისოდ "იმედი" უკვე მუშაობს.

მატჩს პოლონელ მსაჯთა ბრიგადა განსჯის, არბიტრი **ტომაშ მიკულსკი** იქნება, რომელსაც **პიოტრ სადჩუკი** და **რადოსლავ სიელკა** დაეხმარებიან. მეოთხე მსაჯად **მარეკ მიკოლაიევსია** დანიშნული, უეფას დელეგატი ბელარუსი **იური დუპანოვია**.

აქვე "რაპიდის" იმ 18 ფეხბურთელის ვინაობას გაგაცნობთ, რომელიც კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ვარაუდით, "დინამოსთან" შეხვედრის განაცხადში მოხვდებიან:

ჰოლგე პაიერი, ანდრეას ლუქსე, მარიო ტოკიჩი, იურგენ პატოჩკა, მარტინ ჰიდენი, კრისტიან ტონჰოფერი, მარკუს კატცერი, ჰანეს ედერი, მარიო სარა, შტეფან კულოვიტსი, მარკუს ჰაიკინენი, შტეფენ ჰოფმანი, ბრანკო ბოშკოვიჩი, ველი კავლაკი, მატე ბილიჩი, მარიო ბაჟინა, ფაბიანო, ერვინ ჰოფერი.

ტრავმების გამო თბილისში "რაპიდს" **რაიმუნდ ჰედლი, ანდრეას დობერი, გეორგ ჰარდინგი** და **უმით ქორქმაზი** ვერ ჩამოჰყვებიან.

ლევან ჯანეზაშვილი

რაპიდამდე დინამომ კარგი განწყობა ოლიმპთან გამარჯვებით შეიქმნა

სპორტულ ჟურნალისტთა საჟურადღებოდ!

ოთხშაბათს, 15 აგვისტოს, 16:30 საათზე მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ს.კ. „დინამო თბილისი“ გამართავს „დინამო“ – „რაპიდის“ მატჩისწინა პრესკონფერენციას. უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის "დინამო" – "რაპიდის" მატჩზე აკრედიტაციის მიღების მსურველებმა, გთხოვთ წერილობით მოგვმართოთ პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ. მატჩზე დასწრების დროს აკრედიტაციასთან ერთად, გთხოვთ იქონიოთ პირადობის ან პრესის თანამშრომლის საბუთი.

ს.კ. დინამო თბილისის პრესცენტრი

ინტერვიუ ილია კანდელაკთან

აჭმოსფეროს წნევა: ემოცია უფრო მეტია

ილია კანდელაკი

ილია კანდელაკს, ვისაც რამდენიმემატჩიანი პაუზის შემდეგ კლაუს ტოპმიოლერმა სალუქსემბურგოდ ისევ უხმო ეროვნულ ნაკრებში, გასულ უქმეებზე დებიუტი ჰქონდა მეორე ბუნდესლიგაში - მისმა "კარლ ცაისმა" სტუმრად 2:2 ითამაშა "ალემანიასთან". კანდელაკმა 90 წუთი დაყო მოედანზე. "კიკერმა" მისი გარჯა ოთხიანით შეაფასა, "შპორტალმა" კი უფრო მაღალი შეფასება დაუწერა - 3. "კარლ ცაისის" კიდევ ორ ჩვენებურს კი არ უთამაშია - გიორგი ონიანი სათადარიგო იყო, ხოლო გიორგი სეთურიძე ტრავმირებულია.

კანდელაკს გუშინ შევეხმიანეთ იენაში...

- ვფიქრობ, სადებიუტო მატჩის კვალობაზე ნორმალურად ვითამაშე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მწვრთნელი ჩემი თამაშით კმაყოფილი დარჩა, მითხრა, პირველი ტაიმი მთელმა გუნდმა უხეიროდ ითამაშა, მეორე ტაიმში კი კარგად გამოიყურებოდიო.

- ფრანკ ნოიბარტმა რა პოზიციაზე გაგამწესა?

- მარცხენა მცველად და შეტევაში ნასვლაც დამავალა. საერთოდ, ნოიბარტი ყველა მცველისგან ითხოვს შეტევაში ჩართვას.

- 0:2 აგებდით და მატჩი შემოაბრუნეთ - გერმანულმა პრესამ "კარლ ცაისიდან" შტეფან კიუნე გამოარჩია - ის "კარლ ცაისის" ლიდერია?

- კიუნე ნახევარმცველია და "ალემანიასთან" მართლაც კარგად ითამაშა - ორივე გოლი მისი პასით გავიდა. "ალემანიამ" ადრევე გაგვიტანა გოლები, თითქოს გონზე მოსვლა არ გვაცალაო. მეორე ტაიმში კი მობილიზება მოვახერხეთ და ისეთი თამაში წავიდა, უნდა მოგვეგო.

- სეთურიძის სარეაბილიტაციო პროცესი როგორ მიდის?

- კარგად, მისი სარეაბილიტაციო კურსი ალბათ კიდევ 4-6 თვეს გასტანს, გიორგიმ ხომ ჯვარედინი იოგების ოპერაცია გაიკეთა.

- მანამდე უკრაინაში თამაშობდი ორი წელიწადია და როგორ შეადარებ იქაურობას მეორე ბუნდესლიგასთან?

- უკრაინის უმაღლესი ლიგისა და მეორე ბუნდესლიგის დონეს ჯერ ერთმანეთთან ვერ შევადარებ, რადგან მხოლოდ ერთი მატჩი ვითამაშე მეორე ბუნდესლიგაში. დაძაბულობა ალბათ მეორე ბუნდესლიგაში უფრო დიდი იქნება. აქ სულ სხვა საფეხბურთო ატმოსფეროა და ემოციებიც უფრო მეტია.

დავით თავართქილაძე

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ზურაბ ბათიაშვილი

ინტერვიუ ზურაბ ბათიაშვილთან

სტანდარტთან კონტრაქტი გავწყვიტე

სულ რაღაც ერთი კვირის წინათ "ლელო" წერდა, რომ აზერბაიჯანის უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა, ბაქოს "სტანდარტმა" ქართველ მეკარე ზურაბ ბათიაშვილთან-კონტრაქტი გააფორმა.

თუმცა ჩვენმა მეზობლებმა სეზონი განაახლეს, პირველი ტურში კი "სტანდარტში" "გაბალას" წინააღმდეგ ბათიაშვილს არც უთამაშია და არც სათადარიგოთა შორის მჯდარა.

ჩვენდა გასაოცრად, ზურაბი თბილისში აღმოვაჩინეთ და როგორც გვითხრა, "სტანდარტში" კი ჩაირიცხა, მაგრამ გუნდი მაინც დატოვა:

- ჩავირიცხე და ვიფიქრე, მცირედით მაინც ამოვისუნთქებდი. თურმე მაგრად ვცდებოდი. გუნდიდან ვინც დამიკავშირდა, ხელფასად 1500 დოლარის დანიშვნას ისე შემპირდა, ეჭვიც არ შემპარვია. ჩავედი ადგილზე და გაცილებით ნაკლები შემომთავაზა პრეზიდენტმა. ბოლოს 1000 დოლარზე დავთანხმდი. უკვე მაშინ მივხვდი, რომ სერიოზულ ხალხთან არ მქონდა კავშირი, თუმცა სხვა რა გზა მრჩებოდა. ბოლნისის "სიონიდან" წამოსვლის შემდეგ, არავინ დამკავშირებია. მხოლოდ "ცხინვალი" დაინტერესდა ჩემით...

თუმცა მერე და მერე მივხვდი, რომ "სტანდარტში" დარჩენა არ ღირდა. პრეზიდენტს კვირაში ხუთი პარასკევი ჰქონდა, ხან ერთს ამბობდა და ხან მეორეს. თუმცა ერთწლიანი კონტრაქტი მაინც გავაფორმე. ვინც ჩამიყვანა, ის ნახევარი წლის შემდეგ უკეთეს გუნდში გადასვლას შემპირდა. საამისოდ კი თამაში მჭირდებოდა და ყველაფერზე თვალი დავხუჭე.

მერე ჩემპიონატიც დაიწყო, თამაშისთვის ვემზადები და სტადიონზე შესვლამდე მითხრეს, რომ განაცხადში არ ვიყავი.

- რატომ?

- ვითომ საქართველოდან ჩემი გათავისუფლების ფურცელი არ ჩამოვიდა. არადა ნამდვილად ვიცოდი, რომ ფედერაციიდან ყველა საჭირო დოკუმენტაცია გუნდში გააგზავნეს. მაშინ იყო, მოთმინების ფიალა ამევსო, კონტრაქტის გაწყვეტა ვთხოვე და ორი დღეა, თბილისში ჩამოვედი. მათი არც ფული მინდა და არც კონტრაქტი.

- მიზეზი მაინც თუ გაიგე, რატომ აღარ შეგიყვანეს განაცხადში?

- იმ დროს უმაღლესი ლიგის გუნდი "მკატ-არაზი" დაიშალა და რამდენიმე მოთამაშე დაიმატეს, მათ შორის, მეკარე და თავდამსხმელიც. რადგან ლიგიონერებზე ლიმიტია, "არაზიდან" მოწვეული თავდამსხმელები უცხოელები იყვნენ, მეკარე კი ადგილობრივი, ჩემი "გადაგდება" მოინდომეს...

ხელმძღვანელებს თვალებში ეტყობოდათ, ოღონდ ფული ეშოვათ და რა ფეხბურთი, რისი მიზნები...

- იქაურ დონეზე რას იტყვი?

- გაცილებით მაღალი დონე მეგონა, მაგრამ ასე ნაღდად არ ყოფილა. სხვათა შორის, ჩვენთან უფრო ძნელია თამაში. სამი კვირა ვვარჯიშობდი და ამის თქმა ნაღდად შემიძლია.

მერაბ მამულაშვილი

სიახლე ქართულ ფეხბურთში: ტელეკონტრაქტები

ქართულ ფეხბურთში ბევრი რამაა პარადოქსული, მაგრამ 21-ე საუკუნეში ფეხბურთი და ტელევიზიები ცალ-ცალკე რომ ერეკებოდნენ, ეს მეტისმეტი იყო.

მთელ მსოფლიოში ფეხბურთის განვითარებას მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ტელეკონტრაქტებმა, გუნდებისთვის ეს შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ამ დროს საქართველოში ძველი ურთიერთობები შემორჩა - ტელევიზიები მატჩების რეპორტაჟის გადასაცემად ფულს არ იხდიდნენ. ამისთვის ტელევიზიებს მადლობასაც უხდიდნენ, რადგან ერთი ტელერეპორტაჟი 10 000 ლარი ჯდება და ფაქტობრივად ხარჯის ანაზღაურება ვერ ხერხდებოდა, რადგან ამ საათნახევრის განმავლობაში მნიშვნელოვანი სარეკლამო შემოსავლები არ იყო.

საჭირო გახდა ტელევიზიით თავად ფეხბურთის გაპიარება-განვითარება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ის პროექტი, რომლის პრეზენტაციაც 16 აგვისტოს "მარიოტში", 15.00 საათზე შედგება. ახლა უფრო კონკრეტულად: ორი თვის წინათ გაუწყებდით, რომ თბილისის "ლოკომოტივის" პრეზიდენტმა **ლექსო თოფურიამ** გადაწყვიტა ტელესაგენტო "პროდაქშენ კომპანის" ჩამოყალიბება. კომპანიამ სახელი შეიცვალა, "კოლხიდა" დაირქვა და კლუბებთან შეთანხმების შედეგად, პროექტის განხორციელებას მალე შეუდგება.

"15 აგვისტოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში შევიკრიბებით კლუბების წარმომადგენლებთან და კომპანია "კოლხიდასთან" ერთად და ოფიციალურად შევთანხმდებით, რომ პროფესიული ლიგა ეროვნული ჩემპიონატისა და "ყაზბეგის" თასის გათამაშების სატელევიზიო და სარეკლამო უფლებებს კომპანია "კოლხიდას" გადასცემს. იგი უზრუნველყოფს ამ ტურნირების მაღალ დონე ზე გაშუქებას და, რაც მთავარია, იმედი გვაქვს, რომ ამ პროექტიდან გუნდები მცირე შემოსავალს მაინც მიიღებენ ამ ეტაპზე, შემდეგ კი ის ჩვენი ფეხბურთის განვითარებისა და შემოსავლების გაზრდის წინაპირობა უნდა გახდეს. ჩვენ ამის დიდი იმედი გვაქვს", - უთხრა "ლელოს" პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურმა მდივანმა **პაატა ბურჯალიანმა**.

ახლა პატარა სიახლეებიც: ბურჯალიანის თქმით, "ამერი"-"დილის" მატჩი 19 აგვისტოს ნაცვლად 17 საათისა, 17:15-ზე დაიწყება და პირდაპირი რეპორტაჟი შეგიძლიათ საზოგადოებრივ მაუწყებელზე იხილოთ.

მერაბ მამულაშვილი

უჩა ლობჟანიძე

ლობჟანიძე ზესტაფონში ვარჯიშობს

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" მცველმა **უჩა ლობჟანიძემ**, შესაძლოა, კარიერა "ზესტაფონში" გააგრძელოს.

ყოველ შემთხვევაში, შევიტყვეთ, რომ კლუბის ხელმძღვანელები 18 წლის ნიჭიერი მცველით მაშინვე დაინტერესდნენ, როგორც კი ფეხბურთელს "დინამოსთან" კონტრაქტი დაუსრულდა.

უჩამ "ზესტაფონში" უკვე ივარჯიშა, თუმცა მისი საკითხი ერთ კვირაში გაირკვევა.

"ზესტაფონის" მოთამაშე **პოლ კესანი** კი გაბონის ნაკრებშია გამოძახებული. აფრიკელები 22 აგვისტოს საფრანგეთის ნაკრებს სტუმრად ამხანაგურად გაეჯიბრებიან. იმავე შეხვედრაზე მიწვეულები არიან თბილისის "დინამოს" მეკარე **ოვონო** და თავდამსხმელი **აკირემი**, აგრეთვე რუსთავის "ოლიმპის" ცენტრალური მცველი **აკუასაგა**.

მერაბ მამულაშვილი

მეტოქე

რეპეტიცია ყაზახეთთან

22 აგვისტოს, უკრაინის ეროვნული ნაკრები, კიევში, **ვალერი ლობანოვსკის** სახელობის "დინამოს" სტადიონზე უზბეკეთს ამხანაგურად უმასპინძლებს. უკრაინელთა დამრიგებელმა **ოლეგ ბლოხინმა** ეროვნული გუნდის შემადგენლობა დაასახელა.

მეკარეები: ალექსანდრ შოვკოვსკი ("დინამო" კ.), **მაქსიმ სტარცევი** ("დნეპრი"), **ანდრეი პიატოვი** ("შახტიორი").

მცველები: ვლადიმირ ეზერსკი ("შახტიორი"), **ანდრეი რუსოლი** ("დნეპრი"), **ანდრეი ნესმაჩნი** ("დინამო" კ.), **ალექსანდრ კუჩერი** ("შახტიორი").

ნახევარმცველები: ოლეგ გუსევი ("დინამო" კ.), **რუსლან როტანი** ("დინამო" კ.), **ტარას მიხალიკი** ("დინამო" კ.), **ოლეგ შელაევი** ("დნეპრი"), **სერგეი ნაზარენკო** ("დნეპრი"), **ალექსანდრ გრიცაი** ("დნეპრი"), **ანატოლი ტიმოშჩუკი** ("შახტიორი"), **მაქსიმ კალინიჩენკო** ("სპარტაკი" მ.), **სერგეი დანილოვსკი** ("მეტალურგი" დ.).

თავდამსხმელები: **ანდრეი შევჩენკო** ("ჩელსი"), **ანდრეი ვორონინი** ("ლივერპული"), **ანდრეი ვორობეი** ("დნეპრი"), **ალექსანდრ გლადკი** ("შახტიორი").

ბლოხინმა არ უხმო კიევის დინამოელ **სერგეი რებროვსა** და შახტიორელ **ალექსეი ბელიკს**, რომელთაც კლუბებში არასაკმარისი სათამაშო პრაქტიკა აქვთ და შესაბამისად, ოპტიმალურ ფორმაში არ იმყოფებიან. სხვა მხრივ, ბლოხინის განკარგულებაში ყველა საუკეთესო ფეხბურთელია. ახალი სანაკრებო სახეები კი **ალექსანდრ გლადკი, სერგეი დანილოვსკი** და **ალექსანდრ გრიცაი** არიან.

ლევან ჯანეზაშვილი

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL — ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 — ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 — კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ქსელი — ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN — ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უსწრაფესი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა ხანგრძლივ გაუფასურებლად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, ფეხკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაპვიხსენოთ ტორპედო

ვლადიმერ კაკაურიძე

ფინანსური კრიზისის გამო პირველ ლიგაში დაქვეითებული და იქაც ბოლო მომენტში დაშვებული ქუთაისის „ტორპედო“ ახალი სეზონისვის სამზადისს განაგრძობს. მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ საქართველოს სამგზის ჩემპიონი უმაღლეს ლიგაში ვერ ითამაშებდა, გუნდი ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა. **დავით ჯანაშიას** ახალგაკეთებული გუნდი დაეშალა და ექსტრემალურ სიტუაციაში მოუხდა გუნდის დაკომპლექტება. ალბათ, ყველასათვის საინტერესოა, რას წარმოადგენს ახალი ფორმაციის „ტორპედო“ და შესწევს თუ არა მას უმაღლეს ლიგაში დაბრუნების უნარი. ჯერჯერობით, რაიმე ვარაუდის გამოთქმა ძნელი იქნება, „ტორპედო“ ცუდი გუნდი არ ჩანს, მაგრამ ქუთათურებს უმაღლესში თავიანთი ადგილის დასაბრუნებლად დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ.

13 ივლისს ქუთაისის ცენრალურ სტადიონზე „ტორპედო“ ამხანაგურად თანაქალაქელ „უნივერსიტეტს“ დუაბირისპირდა. შეხვედრა დავით ჯანაშიას შეგირდების უპირატესობით წარიმართა და მათივე დამაჯერებელი გამარჯვებით 3:0 დასრულდა. ანგარიში **რევაზ კვერნაძემ** გახსნა, რომელმაც მეკარისგან გამოგდებულ ბურთს დაამატა და ახლოდან გაიტანა. პირველი ტაიმი ასე მორჩა. მეორე ნახევარში ჯანაშიამ თითქმის მთელი გუნდი შეცვალა. ახალგაზრდა ბიჭები თამაშში კარგად ჩაერთვნენ და "უნივერსიტეტის" კართან ცალკარა გაჩაღდა. ჯერ შეცვლაზე შემოსულმა **გორგოძემ** შორიდან უძლიერესად დაარტყა და "ცხრიანში" ულამაზესი ბურთი შეაგდო - 2:0 საბოლოო ანგარიში კი **ჯოხაძემ** დააფიქსირა. მას პენალტი მეკარემ აუღო, თუმცა დასწრებაზე ყველას აჯობა და შეცდომა გამოასწორა - 3:0.

ტორპედოელებმა ამ გამარჯვებით პირველი ლიგის დაწყებამდე ხასიათი გამოიკეთეს და პირველ ტურში „მაღაროელს“ კარგი განწყობით დაუხვდებიან.

გუნდის ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ ფინანსურ კრიზისსაც მალე დაძლევენ და გუნდი უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად იბრძოლებს.

ვლადიმერ კაკაურიძე („ტორპედოს“ გენერალური დირექტორი): „სრულიად ახალი გუნდი გაკეთდა და ამ ეტაპზე რაიმე მიზნებზე საუბარი არ შეგვიძლია. როგორც ნახეთ საკმაოდ კარგი ახალგაზრდები გვყავს და მათი ძალიან გვეიმედება. ვმუშაობთ, რომ ფინანსური კრიზისი დავძლიოთ და გუნდი გავაძლიეროთ. თითქმის გადაწყვეტილია, რომ სექტემბერში ახალი სპონსორი გვეყოლება, თუმცა მის ვინაობას ამ ეტაპზე ვერ გავამხელთ. თუ სტადიონისა და ბაზის იჯარით აღება მოხერხდება, „ტორპედოს“ ფინანსური პრობლემა აღარ შეექმნება და უმაღლეს ლიგაში დაბრუნებასაც შეეცდება.“

დავით კოხრეიძე

ქუთაისიდან

ბესიკ ხაჭიპერაძე

ინტერვიუ ბესიკ ხაჭიპერაძესთან

ჟორჟიკაშვილის იმედი გვაქვს

ერთწლიანი პაუზის შემდეგ ცხინვალის გუნდი სხვა სახელით, მაგრამ მაინც დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას. ახლა ცხინვალელებს გამოცდილი კობა ჟორჟიკაშვილი წვრთნის, რომელსაც გუნდის ჩამოყალიბება არ ეშლება და მისი „სპარტაკისგან“ ბევრი სიურპრიზებსაც ელის. გუნდის ყოფასთან დაკავშირებით „ლელო“ ცხინვალელთა 22 წლის ცენტრალურ მცველს ბესიკ ხაჭიპერაძეს გაესაუბრა. ეს ფეხბურთელი რამდენიმე წლის წინათ „ნისტრუს“ შემადგენლობაში მოლდოვის ვიცე-ჩემპიონი გახდა და ამ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშიც შესთავაზეს, თუმცა უცხო ქვეყნის მოქალაქეობაზე და შესაბამისად ნაკრებზეც უარი თქვა. მძიმე ტრავმისა და საქართველოში დაბრუნების შემდეგ თბილისის „თბილისში“, გორის „დილასა“ და ტყიბულის „მეშახტეში“ ითამაშა. ბოლოს „ტორპედოში“ ემზადებოდა, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი „სპარტაკზე“ შეაჩერა...

- სეზონის დაწყებამდე ქუთაისის „ტორპედოში“ ვვარჯიშობდი. ამ დროს "ცხინვალიდან" დამიკავშირდნენ და მათთან გასასინჯად ჩასვლა შემომთავაზეს. „ტორპედოსთან“ ერთად ამხანაგურ შეხვედრებში უნდა მიმეღო მონაწილეობა, მაგრამ ცხინვალელთა წინადადებაზე დავფიქრდი და „სპარტაკში“ წავედი.

- იცოდი რომ „ტორპედოს“ პირველ ლიგაში დააქვეითებდნენ?

- ეს საკითხი ჯერ არ იყო გარკვეული. ეჭვიც არ გვეპარებოდა, რომ „ტორპედო“ უმაღლეს ლიგაში ითამაშებდა. ამის გამო ნამდვილად არ დამიტოვებია ქუთაისი. ცხინვალში თამაში იმად ვამჯობინე, რომ „სპარტაკს“ მეტი ყურადღება ექცევა და „ტორპედოზე“ გაცილებით უკეთესი პირობებიც აქვს შექმნილი. როგორც აღმოჩნდა, არჩევანში არ შევმცდარვარ. სამწუხაროდ, ფინანსური პრობლემების გამო „ტორპედო“ პირველ ლიგაში დაქვეითთდა და იქ მყოფ ფეხბურთელებს ზედ ჩემპიონატის სტარტზე მოუხდათ ახალი გუნდების გამოძებნა.

- როგორც ჩანს, „სპარტაკში“ შექმნილი პირობებით კმაყოფილი ხარ...

- ვისაც ფეხბურთის თამაში უნდა და განვითარებაზე ფიქრობს, „ცხინვალში“ ამის მიღწევა შესაძლებელია. ფულის საშოვნელი გუნდი კი ნამდვილად არ არის... მთავარია, რომ გუნდის ხელმძღვანელობა ყველანაირ პირობას გვიქმნის ფეხბურთის სათამაშოდ. დიმიტრი სანაკოევისგანაც დიდ ყურადღებას ვგრძნობთ. იგი პირველ ტურში ბოლნისში ვერ ჩამოვიდა, თუმცა ქულა რომ ავიღეთ ძალიან გაუხარდა და ყველას მადლობა შემოგვითვალა.

- ბევრი ფიქრობს, რომ „სპარტაკს“ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება გაუჭირდება.

- ახლადშექმნილი გუნდია და ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში ვართ. შეკრება არ გაგვივლია და შეთამაშების პრობლემაც გვაქვს. თასზე პირველ მატჩში „გაგრას“ რომ შეეხვდით, ფეხბურთელების უმრავლესობამ ერთმანეთის სახელებიც არ ვიცოდით. გუნდის შენებას დრო სჭირდება. კობა ჟორჟიკაშვილი მაღალი დონის სპეციალისტია და მისი გამოცდილების იმედი გვაქვს. სამწვრთნელო შტაბში ისეთი მწვრთნელები არიან, რომლებსაც შეუძლიათ გუნდი წარმატებით აათამაშონ. შეუძლებელია, რომ ჟორჟიკაშვილის ხელში პროგრესი არ განიცადო. იგი ყველა საფეხბურთო ნიუანსს დეტალურად გვიანალიზებს და თითოეულმა ფეხბურთელმა ვიცით მოედანზე რა უნდა ვაკეთოთ, რაც საქმეს უფრო გვიადვილებს. ამ ეტაპზე ჩვენი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. შემდეგ, თუ საფუძვლიან მომზადებას გავივლით, შესაძლოა უკეთეს შედეგებზეც ვიფიქროთ.

- ძირითადად რის ხარჯზე შეუძლია „სპარტაკს“ მიმდინარე ჩემპიონატში ფონს გასვლა?

- გუნდის პლუსი, პირველ რიგში, ძლიერი მწვრთნელია. გარდა ამისა ჩვენი კოზონი მონდომება და ბრძოლისუნარიანობა იქნება. ყველა მატჩში ბოლომდე დავიხარჯებით და მეტოქეს არაფერს დავუთმობთ.

- თანაგუნდელებიდან ვის გამოარჩევდი, ვინ არის ისეთი ვისაც „სპარტაკის“ ლიდერობა ხელეწიფება?

- ვინმეს გამორჩევა გამიჭირდება. მთავარი გუნდური სულისკვეთებაა. მწვრთნელიც ყოველთვის ამაზე გვითითებს. სახელები არ მჭირდება, მთავარია თითოეულმა ფეხბურთელმა გუნდისთვის მაქსიმალური სარგებელი მოიტანოსო. ჩვენც ვდილობთ, რომ მისი დავალება ზედმიწევნით შევასრულოთ და გუნდური თამაში ვაჩვენოთ.

- პირველი ტურის მატჩზე რას იტყვი, „სიონთან“ ფრე მისაღები იყო?

- რა თქმა უნდა. ბოლნისში თამაში ყველას უჭირს და ჩვენნაირი ახალჩამოყალიბებული გუნდისთვის მით უფრო რთულია იქ ასპარეზობა. გაგვიჭირდა კიდეც, მაგრამ ბრძოლისუნარიანობა გამოვავლინეთ და ქულას გამოვრჩით. მომავალ ტურებში ვეცდებით, თამაშის ხარისხიც გამოვასწოროთ. „სიონთან“ საჭირო ქულა ავიღეთ და ეს ჩვენთვის დამატებითი სტიმულია.

- ცხინვალში რამდენი ხნით დარჩები?

- გუნდთან ექვსთვიანი კონტრაქტი მაქვს გაფორმებული. ვეცდები, რომ ამ ხნის განმავლობაში თავი კარგად ნარმოვაჩინო და „ცხინვალს“ სარგებელი მოვუტანო. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება და იანვრის შემდეგ გუნდთან კონტრაქტს გავახანგრძლივებ.

დავით კოხრეიძე

ლეგიონერი

იმედაშვილს ისევ ელიან

დანიაში პირველი ქულა მოიპოვა **გიორგი ფოფხაძის** "ვიბორგმა", თუმცა ეს მხოლოდ მეხუთე ცდაზე და უქართველოდ შეძლო - "ბრონდბიუსთან" შინ 1:1 დასრულებულ მატჩში ახალგაზრდა ქართველი მცველი 90 წუთი სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ფოფხაძის გუნდი დანიის სუპერლიგაში "ორჰუსთან" ბოლო ორ ადგილს ინაწილებს. გიორგი ფოფხაძე შემდეგ ტურში "ჰორსენსის" წინააღმდეგაც ვერ ითამაშებს, რადგან საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშია გამოძახებული.

ლატვიის ვირსლიგაში ჩემპიონმა "ვენტსპილსმა" სტუმრად 5:0 გაანადგურა "ოლიმპსი", ერთ-ერთი საგოლე პასი **ზურაბ მენთეშაშვილის** ანგარიშზეა, რომელიც 67-ე წუთზე შეცვალეს. **დავით იმედაშვილს** ჯერ არ უთამაშია ახალი კლუბის შემადგენლობაში.

რუსეთის პირველი დივიზიონის 27-ე ტურში მახაჩყალის "ანჟი" სტუმრად 0:1 დამარცხდა "ავანგარდთან". **ომარ თეთრაძის** გუნდში მხოლოდ **ზურაბ არზიანმა** ითამაშა, ისიც 79-ე წუთის მერე. ბრესტის "დინამო" შინ 2:2 დაუზავდა "ტერეკს", მასპინძელთა რიგებში 70-ე წუთამდე ითამაშა **პაატა ჯინჭარაძემ**. "დინამო" 41 ქულით მეექვსე ადგილზეა, ხოლო "ანჟი" 36 ქულით - მეთერთმეტე.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ქალთა ფეხბურთი

დინამოს ორი უსახელო მარცხი

ქართული ქალთა ფეხბურთის ისტორიაში კიდევ ერთი სამარცხვინო ფურცელი თბილისის "დინამომ" ჩაწერა. ქალთა უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართული კლუბი სტუმრად მოსკოვის ოლქის "როსიანკასთან" უმოწყალოდ განადგურდა. 11 აგვისტოს რუსებმა ქართველებს 18:0 (!) მოუგეს. ვფიქრობთ, ზედმეტი კომენტარი აქ საჭირო არაა, უბრალოდ, თუკი ქალთა ფეხბურთის განვითარება გვსურს, საქმეს, ალბათ, ცოტა სხვანაირად უნდა მივუდგეთ. ვფიქრობთ, აჯობებს, დონე ჯერ ჩვენი კალიბრის გუნდებთან (ასეთები ცოტანი არიან, მაგრამ მაინც) ავიმაღლოთ და ძლიერებთან ამის შემდეგ ვიბრძოლოთ.

"დინამომ", რომელსაც ეროვნული ნაკრების დამრიგებელი **მაია ჯაფარიძე** წვრთნის, ამ შემადგენლობით ითამაშა:

ჭკუასელი (46. შადობა), მალიძე, ჭყონია, გოგსაძე, ჩანგელია, პოღოსიანი (23. ციცქიშვილი), პასიკაშვილი, მეზვრიშვილი (72. ტატუაშვილი), მატვეევა, ჭიჭინაძე, კახიძე.

გუშინ კი "დინამომ" საკვალიფიკაციო ქვეჯგუფის მეორე მატჩი ჩაატარა. მისი მეტოქე სერბული "ნაპრედაკი" იყო. შედარებით სუსტ მეტოქეს ჩვენებმა შედარებით დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს და "მხოლოდ" 2:6 წააგეს. მესამე შეხვედრას "დინამო" ხარკოვის "მეტალისტთან" გამართავს. ორი ტურის შემდეგ "დინამო", ბუნებრივია, ჯგუფში ბოლო, მეოთხე ადგილზეა.

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ნაკრების ფანკლუბის განცხადება

25 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, ეროვნული ნაკრების ფანკლუბისა და ეროვნული სტადიონის დირექციის ინიციატივით, 12 წლამდე ბავშვთა შორის street soccer-ის ტურნირი გაიმართება. თამაშები ეროვნული სტადიონის ტერიტორიაზე, სპეციალურად მოწყობილ მოედანზე ჩატარდება. მონაწილეობის მსურველებმა განაცხადები ელექტრონული ფოსტის მისამართზე fanclub@fanclub.ge გამოგვიგზავნეთ ან დაგვირეკეთ 542 542, 877766770, 893317772. განაცხადები 23 აგვისტომდე მიიღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. II ტურის წინ

ჭევესი რუნის ნაცვლად

პისაროს ჩელსიში კონკურენტი ისევ არ ჰყავს, ყველა დაშავებულია...

გუშინ

ბოლტონელები-ევერტონი 1:3

დღეს

ბირმინგემი-სანდერლენდი
ფულჰემი-ბოლტონი
მანჩესტერ სიტი-დერბი
პორტსმუთი-მანჩესტერ იუნ.
რედინგი-ჩელსი
ვიგანი-მიდლსბრო
ლივერპული-ვესტ ჰემი გადაიდო
ნიუკასლი-არსენალი გადაიდო
ბლეკბერნი-ასტონ ვილა გადაიდო

დღეს, "ლივერპული" და "არსენალი" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებენ ("ტულუზსა" და "სპარტასთან"). შესაბამისად, პრემიერლიგის მეორე ტურის მატჩი ორივეს გაუცდება. გადაიდო კიდევ ერთი შეხვედრა "ბლეკბერნსა" და "ასტონ ვილას" შორის. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ერთი შეხვედრა წუხელ გაიმართა, გულშემატკივარს დღეს მხოლოდ ექვსი მატჩი ელის.

"მანჩესტერმა" პრემიერლიგის ახალი სეზონი უიღბლოდ დაიწყო. "ეშმაკებმა" "რედინგთან" პირველ ტურში ორი ქულა გაანიავეს და **უეინ რუნიც** ორი თვით გამოაკლდათ. 21 წლის თავდამსხმელს ჩემპიონატის რვა და ჩემპიონთა ლიგის ორი მატჩი გაუცდება. მის მაგივრობას ახალწვეული **კარლოს ტევესი** გასწევს. არგენტინელის პრეზენტაცია ორშაბათს გაიმართა. ორშაბათსვე გავრცელდა მისი ტრანსფერის ჩახლართული დეტალები: ტევესი "იუნაიტედის" საკუთრება ჯერაც არ არის. მან ორწლიანი საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა. ამ ორი წლის განმავლობაში "მანჩესტერს" ნებისმიერ წუთს შეუძლია მისი გამოსყიდვა. აღმასრულებელი დირექტორი **დევიდ გილი** ამბობს, რომ ფასი განსაზღვრულია, თუმცა მისი გამხელისგან თავს იკავებს. სპეკულაციების თანახმად, "მენიუს" კარლოსის დასაკუთრება 50 მილიონი დოლარი დაუჯდება. მისი დებიუტი დღეს "პორტსმუთთან" მეორე ტურის მატჩში შედგება. რუნის გარდა, "იუნაიტედს" კიდევ ორი თავდამსხმელი ჰყავს დაშავებული - **ლუის საა** და **ოლე გუნარ სოლსკიაერი**. ბოლო წუთს გადაწყდება, ითამაშებს თუ არა **მიკაელ სილვესტრი**. მან "რედინგთან" შეხვედრაში ბარძაყის კუნთი დაიზიანა.

რაც შეეხება "პორტსმუთს", პირველ ტურში **სოლ კემპბელმა** და **პედრო მენდეშმა** მსუქუში ტრავმები მიიღეს, თუმცა დღეს ორივე ძირითადში უნდა ვიხილოთ. ამ თამაშს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კემპბელისთვის. ინგლისელთა თავკაცი **სტივ მაკლარენი** სწორედ დღეს გადაწყვეტს, გამოიძახოს თუ არა 32 წლის ვეტერანი გერმანიასთან სათამაშოდ. ინგლისის ნაკრებს სამი ცენტრალური მცველი დაუშავდა - **ჯონ ტერი, ლედლი კინგი** და **ჯონათან ვუდგეიტი**. მაკლარენის განკარგულებაში მხოლოდ **რიო ფერდინანდია**. ამიტომ კემპბელს დიდი შანსი აქვს, შარშანდელი მუნდიალის შემდეგ პირველად გამოეწყოს ეროვნული გუნდის მაისურში. მაკლარენი "პორტსმუთის" კიდევ ერთ ფეხბურთელს დააკვირდება - ახალგაზრდა თავდამსხმელ **დევიდ ნაჯენტს**. ის "პრესტონიდან" ამ ზაფხულს გადაიყვანეს. იმასაც ვეტყვით, რომ 2003 წელს, "პორტსმუთის" პრემიერლიგაში აღზევების შემდეგ, ეს გუნდი "იუნაიტედისათვის" უხერხულ მეტოქედ იქცა. ბოლო ოთხ წელიწადში პორტსმუთის "ფრეტონ პარკზე" გამართული ოთხი შეხვედრიდან სამში მასპინძლებმა გაიმარჯვეს...

დღეს "ჩელსი" იმ "რედინგს" შეხვდება, რომელმაც პირველ ტურში "მანჩესტერ იუნაიტედს" ქულა აართვა. **ჟოზე მოურინიო** ტრავმების ეპიდემიას უჩივის. "ბირმინგემთან" მატჩში (3:2) **მიკაელ ესიენიც** დაშავდა. **დიდიე დროგბა**, რომელმაც პირველ შეხვედრაში შეცვლაზე ითამაშა, 90-წუთიანი დატვირთვისთვის მზად არ არის. ის თადარიგში იქნება. ბოლომდე არ განკურნებულა **ანდრეი შევჩენკო**. ამიტომ **კლაუდიო პისაროს** კვლავ ძირითადში ვიხილავთ. პისარომ პრემიერლიგის პირველსავე მატჩში გოლი შეაგდო. გოლით დაიწყო "ჩელსის" კიდევ ერთმა დებიუტანტმა **ფლორან მალუდამ**. ახალწვეულები გუნდს ადვილად შეეწყვნენ. პირველ ტურში კიდევ ერთი პოზიტივი ის იყო, რომ "ჩელსიმ" საშინაო წაუგებელი სერია 64 მატჩამდე აიყვანა და ინგლისის ჩემპიონატების აბსოლუტური რეკორდი გამოაცხო...

სანდერლენდელ **მაიკლ ჩოპრას** არ გაუკვირდება, თუ "ბირმინგემთან" მატჩში თადარიგში გაამწესებენ. შაბათს "შავმა კატებმა" "ტოტენჰემს" თამაშის მიწურულს მისი ერთადერთი გოლით სძლიეს. მაგრამ ჩოპრამ იცის, რომ გუნდში ბოსი **როი კინია**. ფეხბურთელები კი ვალდებულნი არიან, მის გადაწყვეტილებებს დაემორჩილონ. "ბირმინგემის" მთავარი მწვრთნელი ის **სტივ ბრუსია**, რომელმაც კინთან ერთად "მანჩესტერ იუნაიტედში" არა ერთი სეზონი გაატარა. პირველი ტურით ბრუსიც კმაყოფილი დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ მისმა შეგირდებმა წააგეს. შეგახსენებთ, ბირმინგემელთა მეტოქე "ჩელსი" იყო. "არისტოკრატებს" კი სამი ქულის მოსაპოვებლად დიდი ბრძოლა გადახდათ (2:3)...

"ვიგანი" და "მიდლსბრო" პირველი ქულების მოპოვებას შეეცდებიან. ამ გუნდებმა ჩემპიონატი წაგებებით დაიწყეს. "მიდლსბრო" "ტოტენჰემთან" მოლაპარაკებების დასკვნით სტადიაშია. საუბარი ეხება ეგიპტელი თავდამსხმელის **მიდოს** რივერსაიდში ტრანსფერს. "ბორო" 7 მილიონ გირვანქას იხდის, თუმცა ცხადია, რომ "ვიგანთან" მატჩში მისი გამოყვანა არ მოესწრება. რივერსაიდელებს დაცვის ცენტრში სერიოზული

კარლოს ტევესი და სერ ალექს ფერგიუსონი

პრობლემები აქვთ. ვერ ითამაშებენ **ჯონათან ვუდგეიტი, რობერტ ჰუთი** და **ემანუელ პოგატეცი**...

"მანჩესტერ სიტის" ძირითად მეკარეს **ანდრეას ისაკსონს** თითი აქვს მოტეხილი. "ვესტ ჰემთან" პირველ ტურში მის ნაცვლად 19 წლის **კასპერ შმაიხელმა (პეტერ შმაიხელის** შვილი) ითამაშა. მას ბევრი საქმე არ ჰქონია, თუმცა ცალკეულ ეპიზოდებში საკმაოდ თავდაჯერებული იყო. "სიტის" თადარიგში ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების მეკარე **ჯო ჰარტი** ჰყავს. სვენ გორან ერიქსონს კი გამოცდილი გოლკიპერი სჭირდება და ლივორნოელი **მარკო ამელიას** შეძენას ცდილობს. ერიქსონი ლივერპულელ **სკოტ კარსონსაც** ეპატიჟებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა იჯარით "ასტონ ვილას" მიაშურა. ამელიას ტრანსფერამდე "დერბისთან" დღევანდელ მატჩში ისევ შმაიხელი ითამაშებს. "დერბის" თავკაცმა **ბილი დევისმა** ამ კვირაში ერთბაშად სამი ფეხბურთელი უნდა შეიძინოს. ის საუთჰემპტონელ თავდამსხმელ **კენვინ ჯოუნსს**, ჰამბურგელ **ბენი ფეილჰაბერსა** და ეინდჰოვენელ **მიკა ვაირინენს** ელოდება...

დაბოლოს, "ფულჰემთან" თამაშის წინ "ბოლტონის" თავკაცმა **სემი ლიმ** სენეგალელ თავდამსხმელ **ელ ჰაჯი დიუფს** მოუწოდა, უფრო მეტი იმუშაოს, თუ ძირითადში მოხვედრა უნდა. "ნიუკასლთან" პირველ ტურში (1:3) დიუფი სკამზე გაამწესეს. ფეხბურთელმა მაშინვე მწვრთნელთან შეხვედრა და საქმის გარკვევა მოითხოვა. იმის გამო, რომ "ბოლტონს" სხვა ორი თავდამსხმელი - **რიკარდო ვას ტე** და **კევინ დევისი** დაშავებული ჰყავს, დიუფს უპრობლემოდ შეუძლია ძირითადში დაბრუნება.



ჟოზე მოურინიო

ინტერვიუ ჟოზე მოურინიოსთან

ფეხბურთელის სახელი და ძველი დამსახურება ჩემთვის არაფერს ნიშნავს

ჟოზე მოურინიომ "ჩელსის" ტელეარხს ინტერვიუ მისცა. მწვრთნელმა ბევრ საინტერესო საკითხზე ისაუბრა. ქართველ მკითხველს ამ ინტერვიუს საგაზეთო ვარიანტს ვთავაზობთ...

- ჟოზე, "ჩელსიში" მეოთხე სეზონი დაიწყეთ. წლეულს, ადრინდელთან შედარებით, არც თუ ისე ბევრი ფეხბურთელი გყავთ, სატრანსფერო ბაზარზეც არ გიაქტიურიათ...

- გეთანხმებით, შემადგენლობა გაბერილი არ არის, მაგრამ სტაბილურია. ცოტა ფეხბურთელი ვიყიდეთ, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი არჩევანის სისწორეში ოდნავი ეჭვიც არ მეპარება. ახალწვეულებიც უკვე მიეჩვივნენ გარემოს. იცით, საქმე მხოლოდ პროფესიონალიზმში არ არის, "ჩელსი" ერთი დიდი და ბედნიერი ოჯახია. ასეთი კოლექტივი თავისას ყოველთვის მიაღწევს.

- რამდენად მნიშვნელოვანია, ეგრეთ წოდებული, ახალი სისხლი?

- გააჩნია, რას გულისხმობთ ამაში. ეს შეიძლება იყოს ახალი ფეხბურთელების მასობრივად მოზიდვა კონკურენციის შესაქმნელად, რაც ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ნამდვილად არ გვჭირდებოდა. ჩვენი პოლიტიკა უფრო დაზღვევას ეყრდნობა. ტრავმირებულები, ისევე როგორც შარშან, ახლაც ბევრი გვყავს, ამიტომ, მათი შეცვლა უმტკივნეულოდ უნდა შეგვეძლოს. თუმცა ეს არ ეხება პისაროს, რომელიც უფრო სხვა ტიპის ფორვარდია, ვიდრე შევჩენკო, დროგბა და კალუ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ ორი თავდამსხმელით უნდა ვითამაშოთ, ასეთ შემთხვევაში პისარო ვარირების საშუალებას მოგვცემს. სიდუელი, ბენ ჰაიმი და მალუდა კი სწორედ დაზღვევისთვის ავიყვანეთ. გასულ წელს ცენტრალური მცველის პრობლემა გვქონდა. ახლა ბენ ჰაიმი გვყავს. ხოლო ჯო კოულისა და რობენის შეცვლა მალუდასა და რაიტ-ფილიპსს შეუძლიათ. წლეულს, ჩვენს რამდენიმე ნახევარმცველს აფრიკის თასი ელოდება, ასე რომ, შანსი გაუჩნდება ახალგაზრდა ინგლისელ სიდუელს. ანუ ხომ ხედებით? ჩვენ გვჭირდებოდა იმის გარანტია, რომ საჭირო ადგილზე საჭირო კაცი ყოველთვის გვეყოლებოდა და ეს გარანტია უკვე მივიღეთ. მაგრამ ისეც ნუ გაიგებთ, თითქოს ეს ბიჭები მარტო იმისთვის ვიყიდეთ, რომ თანაგუნდელის ტრავმას ან სხვა სიტუაციას ელოდონ. მათ თავის გამოჩენის შანსი ყოველთვის ექნებათ.

- ანუ, გამოდის, რომ ფეხბურთელები მუდმივ ტონუსში უნდა იყვნენ?

- რა თქმა უნდა. თითოეულ პოზიციაზე რამდენიმე მოთამაშე გვყავს და ძირითადში მოსახვედრად მათ ერთმანეთში მოუნევთ კონკურენცია. როგორც ვთქვი, "ჩელსი" მეგობრული ოჯახია, მაგრამ ამავე დროს, ყველას თავისი ამბიცია, თავისი მიზანი აქვს. თითოეულმა ფეხბურთელმა იცის, რომ ასე უბრალოდ, ძველი დამსახურებებისთვის, სასტარტოში ადგილს ვერავინ მისცემს. ვინც სხვანაირად ფიქრობს, უნდა იცოდეს, რომ ზარმაცებს უპრობლემოდ შევცვლით.

- როგორ ფიქრობთ, ბევრი დრო დასჭირდებათ ახალწვეულებს იმისთვის, რომ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდნენ?

- ყოველწლიურად 60 მატჩს ვატარებთ და არ არსებობს ფეხბურთელი, რომელიც ყველა ამ შეხვედრაში ითამაშებს. რომც არ იყო ძირითადის მოთამაშე, შანსს მაინც მიიღებ, იმიტომ, რომ ეს გარდაუვალია. დაკვირდით, გასულ სეზონში არ გვყოლია ფეხბურთელი, 20 მატჩზე ნაკლები რომ ჩაეტარებინოს. როცა "ჩელსიში" მოდიან, უნდა ესმოდეთ, რომ სასტარტოში მოხვედრა ძალიან ძნელი იქნება. მაგრამ იმის გამო, რომ ყველა ტურნირში თითქმის ფინიშამდე გავდივართ, თამაშის შანსს ყველა იღებს.

- დამეთანხმებით, რომ თქვენთვის ახლა უფრო იოლია მუშაობა, ვიდრე პირველ სეზონში, როცა გუნდის მშენებლობა თავიდან დაიწყეთ?

- იცით, არის სამუშაო, რომელიც ყოველთვის გასაკეთებელია: ფეხბურთელებს უნდა ავუხსნა მათი პოზიციის თავისებურება, ჩვენი თამაშის პრინციპები და ზოგადად საფეხბურთო ფილოსოფია. ხანდახან, ერთ რომელიმე ჯგუფთან ვმუშაობ, მაგრამ გარწმუნებთ, ჩემი ყურადღების გარეშე არც ერთი ფეხბურთელი არ რჩება. ისე არ ხდება, რომ ერთი ჯგუფი ჩემთან ვარჯიშობდეს, მეორე კი თანაშემწესთან. ჩემთან ისინი ტაქტიკაზე მუშაობენ, ხოლო სტივ კლარკი საგოლე მომენტების შექმნასა და მათ რეალიზაციაზე ავარჯიშებს. როცა ძირითადი შემადგენლობა დგინდება, ფეხბურთელებმა იციან, რომ გვარ-სახელებს ყურადღებას არ ვაქცევ. მთავარია, ვის როგორ შეუძლია ამა თუ იმ დავალების შესრულება. მოთამაშეებთან ყოველთვის გულწრფელი და სამართლიანი ვარ.

- 4-4-2 სქემის დროს ფლანგის ორ მოთამაშეს მიანიჭებთ უპირატესობას?

- საჭიროა ხაზებს შორის სივრცის ათვისება. ნახევარმცველები, ფლანგის მოთამაშეები და ფორვარდები წყვილ-წყვილად რომ დავაყენოთ, შესაძლებელი იქნება მესამე ხაზის შექმნაც. დავუშვათ, ფლანგის ერთ-ერთი მოთამაშე ცენტრში შედის, ამ დროს მის ადგილს იმავე ფლანგის მცველი იკავებს. შეიძლება, ეს ვარიანტი ფორვარდების მაგალითზეც განვიხილოთ: როცა ორი თავდამსხმელიდან ერთი უკან იხევს, ხოლო მეორე უფრო წინ წაინევს. ეს არის ის, რის მიღწევასაც ვცდილობთ და ვნახოთ, როგორ გამოგვივა.

- აპირებთ, რომ უფრო შემტევი ფეხბურთი ითამაშოთ?

- დავაზუსტებ: ვაპირებთ, ვითამაშოთ გამარჯვებისთვის. ხოლო თუ ამ გამარჯვებას სხვადასხვა ტიპის თამაში მოგვიტანს, რატომ უნდა ვიყო წინააღმდეგი? მაგრამ ჩვენ პრგამატულებიც უნდა ვიყოთ. მაგალითად, როცა ვიცით, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფიდან გასასვლელად ფრეც გვყოფნის, უნდა ვითამაშოთ იმ ტაქტიკით, რომელიც სასურველ შედეგს მოგვიტანს. სეზონის განმავლობაში ასეთი სიტუაცია ბევრი გვექნება. უნდა შეგვეძლოს, გარდავქმნათ თამაში ნებისმიერ მომენტში და იმედია, შევძლებთ კიდეც.

- ამბობენ, რომ მწვრთნელს, რომელიც ერთ გუნდთან დიდხანს მუშაობს, ყოველ მომდევნო წელიწადს ძალიან უჭირს მოთამაშეებისთვის განწყობის შექმნა, მათი მოტივირება... რას იტყვით ამ მოსაზრებაზე?

- ეს არ ეხებათ კარგ მწვრთნელებს: ვენგერს, ფერგიუსონს, მე... ჩვენ ყოველთვის ვზრუნავთ საკუთარი თავის სრულყოფაზე, წინაალმდეგ შემთხვევაში, მართლა გაგვიჭირდებოდა. თუ გუნდს ყოველთვის ერთი და იმავე მეთოდით მართავ, ეს საჭირო ეფექტს ვერ მოგცემს. ჩვენი მეთოდები კი მუდმივად ევოლუციის პროცესშია, წვრთნის პროცესშიც ყოველთვის რაღაც ახალს ვნერგავთ. წარმოუდგენელია, ამან გუნდს სარგებელი არ მოუტანოს.

- მაშინ, მიპასუხეთ: რა მხრივ შეიცვალა ბოლო ხანებში თქვენი მეთოდები?

- ვერ ამჩნევთ, რომ ინგლისური ფეხბურთი შეიცვალა? არ შეიძლება, ვთქვათ, რომ ეს უცხოელ მწვრთნელთა დამსახურებაა, რადგან პრემიერლიგაში ისინი ცოტანი არიან: მე და ბენიტესი. ვენგერი უკვე ძველია და ერიქსონი, რომელიც ინგლისურ საკლუბო ფეხბურთში ახლა მოვიდა. უფრო მეტი გავლენა აქვთ უცხოელ მოთამაშეებს და სწორედ ეს ქმნის მრავალფეროვნებას. ყველა გუნდშია თუნდაც ერთი ლეგიონერი, რომელსაც თამაშის სხვაგვარი ხედვა აქვს და ბრიტანელი სპეციალისტიც კი ამ გავლენის ქვეშ ექცევა. ასე ვარ მეც. ადგილობრივი მწვრთნელებისგან ყოველთვის რაღაცას ვითვისებ. დღეს, გუნდების უმრავლესობა ჭკვიანურ ფეხბურთს თამაშობს, არ არიან მიბმულები კლასიკურ 4-4-2-ზე. მთავარ მნიშვნელობას იძენს ტაქტიკა. აქედან გამომდინარე, ინგლისური გუნდები ევროტურნირებისთვის უკეთ არიან ხოლმე მომზადებულები...

- ...და ევროტურნირებში შორს მიდიან...

- ბოლო სამ წელიწადში, ჩემპიონთა ლიგის ფინალს ინგლისური კლუბის გარეშე არ ჩაუვლია. და ეს არ არის შემთხვევითი, და არც ის, რომ "ჩელსიმ" სამჯერ მიაღწია ნახევარფინალს.

- მაგრამ ინგლისური ფეხბურთი მაინც უფრო მარტივია. ასე არ არის?

- მარტივია იმ გაგებით, რომ ნებისმიერს შეუძლია გაიგოს ის და ითამაშოს. ევროპაში, აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში ფეხბურთი უპირველესი სახეობაა, და სწორედ იმიტომ, რომ ეს უბრალო, მარტივი თამაშია, რომლისგანაც სიამოვნებას იღებ. მაგრამ მეორე მხრივ, პროფესიულ დონეზე, ფეხბურთი საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით, თანამედროვე ფეხბურთი, რომელშიც მოთამაშეებს გაცილებით ბევრი რამ მოეთხოვებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი. პრეზენტაცია

დრენჭე და სნეიდერი რეალს გააცალისებენ

ბოლო შენაძენი არიენ რობენი უნდა გახდესო...

ვესლი სნეიდერისა და როისტონ დრენტეს მადრიდული პრეზენტაცია

სამედიცინო შემოწმების წარმატებით გავლისა და ხუთწლიანი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, ***როისტონ დრენტესა*** *და* ***ვესლი სნეიდერს*** *მადრიდის "რეალის" ოფიციალურმა პირებმა პრეზენტაცია მოუწყვეს. ტრადიციულ ღონისძიებაზე მრავალი ჟურნალისტი დაპატიჟეს. საზოგადოების წინაშე თავდაპირველად სამეფო კლუბის პრეზიდენტი,* ***რამონ კალდერონი*** *წარდგა. მადრიდული გრანდის უმაღლესმა ხელისუფალმა ჰოლანდიელი ახალწვეულების შესაძლებლობებსა და გაჩარხული ორი ტრანსფერის მნიშვნელობაზე ისაუბრა. სენიორ კალდერონი მეტისმეტად კმაყოფილი ჩანდა. პრეზიდენტმა სნეიდერსა და დრენტეს კლუბის მაისურები გადასცა. ამის შემდეგ კი ჟურნალისტებთან სასაუბროდაც მოიცალა: "დღეს უმნიშვნელოვანესი და უჩვეულო საღამო გვაქვს. მსურს, ორი უდიდესი ფეხბურთელი, როისტონ დრენტე და ვესლი სნეიდერი წარმოგიდგინოთ. მათ ტრანსფერებს დიდი ძალისხმევა მოვახმარეთ. თანხაც არ დავინანეთ. ორ მოთამაშეში მთლიანობაში 41 მილიონი ევრო გადავიხადეთ. დამეთანხმებით, ამდენ ფულს სუსტ ფეხბურთელებში არავინ გადაყრის. დარწმუნებული გახლავართ, ისინი "რეალს" ახალ სულს შთაბერავენ. დრენტე უნიჭიერესი ახალგაზრდაა. საუკეთესო მიმომხილველები და საფეხბურთო ექსპერტები მას ფენომენალურ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. სამეფო კლუბი როისტონს პროფესიული ზრდისა და წინსვლისთვის საუკეთესო პირობებს შეუქმნის. ის აქ ფრთებს გაშლის და ფანტასტიკურ კარიერას გაიკეთებს. სნეიდერს რაც შეეხება, ის უკვე მსოფლიო დონის გარემარბია. "აიაქსში" მან საქვეყნოდ გაითქვა სახელი. ასევე დარწმუნებული გახლავართ, რომ ვესლი "სანტიაგო ბერნაბეუზე" ხალას ფეხბურთს მოიტანს, ფეხბურთს, რომელსაც ჩვენი გულშემატკივრები აღმერთებენ. ის საკმაოდ ახალგაზრდაა, მაგრამ ვეტერანივით გამოცდილია. მის ფიზიკურ შესაძლებლობებს ყველა ერთხმად აღიარებს. შეუძლია ერთბაშად ოთხი ტაიმი ისე ჩაატაროს, რომ დაღლა არც კი შეიტყოს. მოკლედ, მე ყოველმხრივ კმაყოფილი ვარ. მომავალს ოპტიმიზმით ვხვდები."*

პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ მიკროფონი როისტონ დრენტეს დაუთმეს. აი, რა განაცხადა ახალგაზრდა ჰოლანდიელმა: "ვერავინ წარმოიდგენს, რამდენად ბედნიერი ვარ. ვინმეს რომ ეთქვა, ერთ მშვენიერ დღეს მადრიდის "რეალის" ფეხბურთელი გახდებიო, რა თქმა უნდა, არ დავუჯერებდი და ვიფიქრებდი, რომ დამცინოდა. ჩემს ცხოვრებაში დაუჯერებელი რამ მოხდა. სამეფო კლუბის სრულფასოვანი მოთამაშე ვარ. ხელმძღვანელობამ უდიდესი ნდობა გამომიცხადა. ყველაფერს ვიღონებ იმისთვის, რათა გაცემული ავანსები ბოლომდე გავამართლო. ვიცი, რომ სერიოზული კონკურენცია მელის, თუმცა ამის არ მეშინია. ტურისტად არავის ჩამოვუყვანივარ. რადგან მიხმეს, ესე იგი, შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსსაც მომცემენ. სხვა არც არაფერი მინდა. თავს მოვიკლავ და დავამტკიცებ, რომ პრედრაგ მიატოვიჩმა და რამონ კალდერონმა სწორი არჩევანი გააკეთეს."

ჰოლანდიელების პრეზენტაციაზე მისულმა ჟურნალისტებმა დასასრულს ვესლი სნეიდერის სიტყვებიც მოისმინეს: "ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა. ცნობილია, რომ მათი მიმდინარეობისას სერიოზული პრობლემები წარმოიქმნა. თითქოს, ჩიხში მოვექეცით, მაგრამ ბოლოს პრედრაგ მიატოვიჩმა თანხა გაზარდა და ჩემი ყოფილი კლუბი შეთავაზებას დათანხმდა. 27 მილიონი ევრო კოლოსალური თანხაა. შევეცდები ამ ფულის მძევალი არ გავხდე. თავისუფლად ვითამაშებ და შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოვამჟღავნებ."

ბოლოს, ჰოლანდიელები მოედანზე გაიყვანეს და 5 ათასამდე გულშემატკივარსაც წარუდგინეს. ინჩასები დრენტესა და სნეიდერს მხურვალე აპლოდისმენტებით შეხვდნენ...

სასურველი ტრანსფერების გაჩარხვის მიუხედავად, სამეფო კლუბის ხელმძღვანელობა გაჩერებას არ აპირებს. ყველას ეგონა, რომ ***არიენ რობენი*** *უკვე "რეალის" ფეხბურთელი იყო, მაგრამ "ჩელსის" მესვეურებმა ბოლო წამს საქმე გაართულეს და ჰოლანდიელის მადრიდში გაშვებაზე უარი განაცხადეს. პრედრაგ მიატოვიჩი ფარ-ხმალს მაინც არ ყრის და მთელი სერიოზულობით აცხადებს, რომ რობენის ტრანსფერი საათების საქმეა. გენერალური დირექტორის თქმით, ყველაზე ცუდ შემთხვევაში საკითხს უახლოეს ორ დღეში მოეფინება ნათელი. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით ბატონი პრედრაგის სიტყვებს გაგაცნობთ: "წლევანდელი სატრანსფერო ციებ-ცხელება არიენ რობენით დასრულდება. მართალია, ლონდონელი კოლეგები ჯერაც ფეხს ითრევენ, მაგრამ ისინი ვერ შეძლებენ, რომ ბუნებრივად მიმდინარე მოვლენებს წინ აღუდგნენ. იმედი გვქონდა, რომ რობენსაც დღეს წარგიდგენდით, თუმცა პრეზენტაცია მცირე ხნით გადაიდო. ბოლო დეტალებსაც შევათანხმებთ და არიენს გაგაცნობთ."*

ესპანური მედიის ინფორმაციით, "რეალისა" და "ჩელსის" მოლაპარაკებები მას შემდეგ მოექცა ჩიხში, რაც მადრიდელებმა ბრიტანელი კოლეგების მიერ დასახელებული 40 მილიონი ევროს გადახდა არ ისურვეს. სავარაუდოა, რომ "არისტოკრატები" თანხას მნიშვნელოვნად შეამცირებენ. ***რომან აბრამოვიჩს*** *კარგად ესმის, რომ რობენს "ჩელსიში" ერთი წუთით თამაშიც აღარ სურს. ამ პირობებში ჰოლანდიელს, რა თქმა უნდა, ძალით ვერავინ ვერაფერს აიძულებს. ასე რომ, ლონდონელთათვის საუკეთესო გამოსავლად გარემარბის დროულად გაყიდვა უნდა მივიჩნიოთ. მით უმეტეს, რობენმა* ***ჟოზე მოურინიოს*** *გუშინ კიდევ ერთხელ განუცხადა, რომ სამეფო კლუბში თამაშზე ოცნებობს და პორტუგალიელ სპეციალისტს დახმარებისკენ მოუწოდა.*

ჰამბურგი. სკანდალი

ვან დერ ვაარტი: გამიშვით ვალენსიაში!

რაფაელმა წასვლა მოითხოვა. ბაიერსდორფერმა ვალენსიას უარი შეუთვალა. ფეხბურთელი გაბრაზებულია, ჰამბურგი შოკშია...

რაფაელ ვან დერ ვაარტი

რაფაელ ვან დერ ვაარტი "ჰამბურგის" ბოლო 20 წლიან ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. შესაბამისად, ცხადია, რომ კლუბის ხელმძღვანელებს მისი გასხვისება არ სურთ. მაგრამ, როგორც ჩანს, ვან დერ ვაარტისა და HSV-ს უდიდესი სიყვარულის ისტორია დასრულებულია, რადგან გუშინ, ჩრდილოგერმანული კლუბის ჰოლანდიელმა კაპიტანმა ამ გუნდის ბოსებისა და გულშემატკივრებისთვის შოკისმომგვრელი განცხადება გააკეთა.

გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ ვან დერ ვაარტის გადაბირება "ვალენსიამ" მოისურვა და თანაც, ახლავე. აქამდე ცნობილი იყო, რომ რაფაელი "ჰამბურგში" კიდევ ერთ სეზონს გაატარებდა და მხოლოდ გაისად დატოვებდა გუნდს, რომელიც, მისივე თქმით, ძალიან უყვარს. მაგრამ "ვალენსიის" ინტერესმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. გუშინწინ, ესპანური კლუბის შეფებმა "ჰამბურგის" ოფისში ფაქსი გაგზავნეს, მზად ვართ, ვან დერ ვაარტში 14 მილიონი ევრო გადავიხადოთო. HSV-ს შეფებმა, ცხადია, "ვალენსიას" უარით უპასუხეს, ჰოლანდიელის გაყიდვას არ ვაპირებთო. როგორც ირკვევა, "ვალენსია" მზად იყო, შეთავაზება 20 მილიონამდე გაეზარდა.

ის, რომ "ჰამბურგმა" რაფაელის გაყიდვა იუარა, სავსებით ნორმალურია. მოულოდნელი კი ის გახლავთ, რომ თვითონ ვან დერ ვაარტი ამის გამო ძალიან გაბრაზდა. აი, რა უთხრა მან "ბილდის" ჟურნალისტს: "ვალენსიაში" გადასვლა მინდა. ვფიქრობ, ეს იდეალური ვარიანტი იქნებოდა. თუ "ჰამბურგში" ძალით დამტოვებენ, გული მეტკინება. აუცილებლად წასვლა მინდა!"

HSV-ს ბოსები და გულშემატკივრები შოკში ჩავარდნენ, რადგან გუნდის კაპიტნისგან ასეთ განცხადებას არ ელოდნენ. "არაფერი არ გვაინტერესებს – ვან დერ ვაარტი ჩვენს გუნდში კიდევ მინიმუმ ერთ სეზონს გაატარებს და საერთოდაც, გვინდა, რომ მან კარიერის დასრულებამდე "ჰამბურგში" ითამაშოს," – ეს გუნდის ბოსის, ***დიტმარ ბაიერსდორფერის*** *სიტყვებია და სწორედ ეს უთხრა მან ვალენსიელ კოლეგა* ***მიგელ ანხელ რუისსაც****. ამის შემდეგ, ბაიერსორფერი ვან დერ ვაარტს შეხვდა და ნახევარი საათის განმავლობაში ესაუბრა. "ბილდი" ირწმუნება, ჰოლანდიელი ძალიან გაბრაზდაო.*

თუ როგორ განვითარდება მოვლენები, ამას მალე გავიგებთ, ფაქტი კი ის გახლავთ, რომ "ჰამბურგში" დღეს სრული ქაოსია, რის გამოც, გუნდი უეფას თასის მატჩისთვის ჯეროვნად ვეღარ ემზადება. გუნდის ლიდერი და კაპიტანი გაშვებას ითხოვს, ეს HSV-სთვის სერიოზული დარტყმაა...

აი, რას წერს "ბილდი": "ვან დერ ვაარტს ასეთი განცხადების გაკეთების უფლება არ ჰქონდა! გუნდის ფეხბურთელები, ბოსები, ფანები – ყველანი თვალებში შესციცინებენ, ის კი ასეთ რამეს ამბობს. დღესდღეობით, ჰამბურგი ვან დერ ვაარტია, ვან დერ ვაარტი კი ჰამბურგი! სწორედ ამიტომ, მან ამ გუნდში კიდევ მინიმუმ ერთი სეზონი უნდა გაატაროს – ანუ, ზუსტად ისე უნდა მოიქცეს, როგორც შეთანხმებული იყო! რაო? რაფაელი გაბრაზდა? ეს მისი უფლებაა. "ვალენსია" მისი ოცნების გუნდია? ჩვენ ყველანი ვფიქრობდით, რომ რაფაელი "ბარსელონაზე" ან "რეალზე" ოცნებობდა! განა "ჰამბურგი". "ვალენსიას" ბევრი რამით ჩამოუვარდება? მოკლედ, თუ გაბრაზდა, არა უშავს! უმჯობესია, ვან დერ ვაარტი გაბრაზდეს, ვიდრე მთელი გუნდი და მთელი ქალაქი! ამ სეზონში მან კიდევ ერთხელ უნდა დაამტკიცოს, რომ 20, 30 ან 40 მილიონი ევრო ღირს!"

"ჰამბურგის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ვილი შუ-ლცი** ამბობს, ვან დერ ვაარტს 40 მილიონ ევროზე ნაკლებად არასდროს გავყიდითო. როგორია რაფაელის ბოლო სიტყვა? "ხელმძღვანელებმა ოცნება დამინგრიეს! თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ, სიცარიელეში ვარ! ვიცი, რომ 14 მილიონი ძალიან ცოტაა, მაგრამ "ჰამბურგის" ხელმძღვანელებმა "ვალენსიელებს" ისეთი უარი უთხრეს, რომ ამ კლუბის შეფებს მოლაპარაკებების გაგრძელების სურვილი გაუქრათ. სწორედ ამან გამაბრაზა. მეუბნებოდნენ, შეუძლებელი არაფერიაო, მაგრამ ჩემი ესპანეთში გაყიდვა სწორედ რომ შეუძლებელი აღმოჩნდა. იმედი მაქვს, რომ "ჰამბურგისთვის" მოტივირებას როგორმე შევძლებ. არადა, ძალიან ცუდად ვარ და არ ვიცი, რა და როგორ იქნება," – აცხადებს ვან დერ ვაარტი...

გოტფრიდ ლენცი

კანუტე: ახალი სევილიური კონტრაქტი

საპნის ოპერა დასრულდა. **ფრედერიკ კანუტემ** "სევილიასთან" კონტრაქტი 2010 წლამდე გაახანგრძლივა. ამით ხანგრძლივ მოლაპარაკებებს წერტილი დაესვა. ცნობილია, რომ მალიელი ფორვარდი დაბალი ხელფასის გამო წუწუნებდა და აცხადებდა, თუ ჯამაგირს არ გამიზრდით, ინგლისში გადავბარგდებიო. მართლაც, კანუტეს თანამშრომლობა ერთბაშად ოთხმა ბრიტანულმა გუნდმა შესთავაზა. ყველაზე მეტად "ნიუკასლი" აქტიურობდა. "კაჭკაჭები" ფრედერიკს კვირეული გასამრჯელოს სახით 100 ათას ევროს ჰპირდებოდნენ. "სევილიის" პრეზიდენტი, **რუის დე ლოპერა** მიხვდა, რომ თუ ქმედით ნაბიჯებს არ გადადგამდა პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდს დაკარგავდა. ანდალუსიური კლუბის მესვეურებმა კანუტეს მენეჯერებთან ნაყოფიერი მოლაპარაკება გამართეს და შეთანხდენენ, რომ მათ კლიენტს ყოველწლიურად 5 მილიონ ევროს გადაუხდიან. აფრიკელის სატრანსფერო თანხა კი 25 მილიონი ევროთი განისაზღვრა.

დიეგო მილიტო მილანში?

"მილანმა" არგენტინელ თავდამსხმელ **დიეგო მილიტოს** დაადგა თვალი. თუ ეს უკანასკნელი "სარაგოსასთან" ახალ კონტრაქტს არ გააფორმებს, "როსონერი" მის შეძენას შეეცდება. ამ ინფორმაციას "კორიერე დელო სპორტი" ავრცელებს. მისივე ცნობით, მილიტოსა და არაგონული კლუბის მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. "სარაგოსამ" ფორვარდს ხელფასის უმნიშვნელოდ გაზრდა შესთავაზა. "მილანი" მოვლენებს ყურადღებით აკვირდება. თუმცა ალტერნატიული კანდიდატიც შერჩეული ჰყავს: "უდინეზეს" თავდამსხმელი **ანტონიო დი ნატალე**. ამ უკანასკნელმა უდინურ კლუბთან კონტრაქტი 2012 წლამდე გააგრძელა, მაგრამ "მილანში" გადასვლაზე უარს არ იტყვის. იმასაც შეგახსენებთ, რომ "სარაგოსამ" "ბარსელონაში" გაყიდა დიეგო მილიტოს ძმა **გაბრიელი**.

ბრაზილია: ორი მატჩი შტატებში

9 სექტემბერს, ჩიკაგოში ამერიკის ნაკრები ბრაზილიასთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. ეს ამ გუნდების პირველი შეხვედრა იქნება 2003 წლის ოქტომბრის შემდეგ. ოთხი წლის წინათ (მაიამიში) პენტაკამპეონებმა ნახევარფინალის დამატებით დროში 2:1 გაიმარჯვეს. საერთო ჯამში ამერიკელებს ბრაზილიასთან 12 მატჩი აქვს ჩატარებული. სტატისტიკა ულმობელია: 1 მოგება 11 ნაგების წინააღმდეგ. ეს ერთი წარმატება 1998 წლით თარიღდება (ისევ ოქროს თასზე). 9 სექტემბერს ამერიკელებს მექსიკასთან "აცტეკაზე" უნდა ეთამაშათ, მაგრამ გეგმები შეიცვალა. ბრაზილიასთან შესახვედრად მექსიკელებიც ემზადებიან. ეს მატჩი 12 სექტემბერს ბოსტონში გაიმართება.

ბუნდესლიგა. დავა ნომრების გამო

შვაინშტაიგერს შოლის ნომერი სურდა...

...მაგრამ რიბერის სახით სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა და ბრძოლა წააგო!

ფეხბურთელისთვის ნომერს, ცხადია, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ისეთი საკითხია, რაც ხშირად მოთამაშეებს შორის კონფლიქტის მიზეზი ხდება ხოლმე. ნომერი, პირველ რიგში, პრესტიჟია, პრესტიჟული ნომერი კი აბსოლუტურად ყველა ამბიციურ ფეხბურთელს სურს. თუმცა, ცხადია, არსებობენ გამონაკლისებიც. გასულ უქმეებზე გერმანიის ჩემპიონატი დაიწყო და მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თუ რა გზით მოხდა ნომრების გადანაწილება ზოგიერთი ფეხბურთელის შემთხვევაში...

მარსელ იანსენს, რომელიც მიონხენგლადბახის "ბორუსიიდან" "ბაიერნში" გადავიდა, ოჯახის წევრები დაეხმარნენ. თვითონ ფეხბურთელს ხუთნომრიანი მაისურა სურდა, ანუ, ზუსტად ის ნომერი, რომლითაც "გლადბახში" თამაშობდა, მაგრამ მშობლებმა უთხრეს, ორციფრიანი შეარჩიე, ჩვენს გვარს მოუხდეობაო. ჰოდა, იანსენმაც 23-ე ნომერს მიანიჭა უპირატესობა.

დიდი ნომერი აქვს **ბასტიან შვაინშტაიგერსაც** (31) და მიუხედავად იმისა, რომ მის გრძელ გვარს სულაც არ მოუხდებოდა, იმის გამო, რომ **მეჰმეთ შოლმა** კარიერა დაასრულა, შვაინის მე-7 ნომრის აღება სურდა. ბასტიანს მსოფლიოს ჩემპიონატზეც 7-ნომრიანი მაისურა ემოსა, ისევე, როგორც ისეთ ვარსკვლავებს, როგორებიც არიან **ბეკენბაუერი, ფიგუ, დელ პიერო, ადრიანო, რაული** და **შევჩენკო**. და რაკი მუნდიალზე შესანიშნავად ითამაშა, მერე კი, სეზონი აშკარად ჩააგდო, ცრურწმენისა და პრესტიჟულობის გამო, შვაინიმაც 7-იანი მოინდომა. მაგრამ მერე ბავარიელებმა **ფრანკ რიბერი** იყიდეს, რომელსაც ასევე ძალიან მოსწონს ეს ნომერი. და რაკი მიუნხენური კლუბის ბოსები ფრანგ ნახევარმცველს ყველა სურვილს უსრულებენ, შვაინშტაიგერი იძულებული გახდა, ისევ 31-ით დაკმაყოფილებულიყო. ბასტიანმა ეს ფაქტი მშვიდად მიიღო და თქვა, ნომერზე უფრო მნიშვნელოვანი რაღაცეებიც არსებობსო. სხვა გზა მაინც არ ჰქონდა და...

სამაგიეროდ, "ბაიერნის" კიდევ ერთ ახალწვეულ **ზე რობერტოს** სულაც არ მიუღია მშვიდად ის ამბავი, რომ სასურველ ნომერზე უარი უთხრეს. ბრაზილიელ ნახევარმცველს ათიანი სურდა, მაგრამ იმ დროს, როცა მან "ბაიერნთან" კონტრაქტი გააფორმა, **როი მაკაი** (რეკორდმაისტერის ყოფილი ათიანი) ჯერ კიდევ მიუნხენურ კლუბში ირიცხებოდა. ახლა მაკაი "ფეიენოორდის" ღირსებას იცავს და "ბაიერნში" 10-ნომრიანი მაისურა თავისუფალია, მაგრამ ზე რობერტოს 15 შერჩა, რადგან "ბაიერნის" ბოსები ათიანს **ტონი კროოსისთვის** ინახავენ, რომელიც უდიდეს ტალანტად მიიჩნევა.

სერგეი ბარბარესმა "ლევერკუზენში" 9 ნომრით დაიწყო თამაში, მერე 5-ზე გადავიდა, ახლა კი 36-ე ნომერი აქვს. ვეტერან ფორვარდს 9 აღარ უნდოდა და 5 ნომერი აიღო, მაგრამ მერე "ფარმაცევტებმა" **მანუელ ფრიდრიხი** იყიდეს და ბარბარესი იძულებული გახდა, თავისი ნომერი გერმანიის ნაკრების მცველისთვის დათმო, რომელიც, სხვათა შორის, "მაინცში" 10-ნომრიანი მაისურით თამაშობდა. ბარარესმა, ბევრი იფიქრა, თუ ცოტა, ომს მშვიდობა ამჯობინა, 5-იანი დათმო და 36 აიღო - ნიშნად იმისა, რომ სულ მალე 36 წელი შეუსრულდება...

სამაგიეროდ, არ დანებდა და ნომრისთვის ბრძოლა მოიგო **იან შლაუდრაფმა**, რომელიც "ბაიერნში" აახენის "ალემანიიდან" გადაბარგდა. თავის ყოფილ კლუბში ის 19-ნომრიანი მაისურით თამაშობდა და რეკორდმაისტერშიც იგივე ნომრით მოისურვა ასპარეზობა, მაგრამ 19 **ხულიო დოს სანტოსის** საკუთრება გახლდათ. თუმცა სანამ ეს უკანასკნელი გახანგრძლივებულ შვებულებაში იმყოფებოდა, შლაუდრაფმა "ბაიერნის" შეფებთან ყველაფერი მოაგვარა და სასურველი ნომერი მიიღო. როცა დოს სანტოსი შვებულებიდან დაბრუნდა, ფაქტის წინაშე დადგა. მას 13 შეუნახეს, მაგრამ ამ ნომერზე სასტიკი უარი განაცხადა და 14 აიღო. მაგრამ საბოლოოდ, დოს სანტოსმა მიუნხენი დატოვა და "ალმერიას" მიაშურა.

19-ნომრიანი მაისურით თამაშობს "ჰანოვერის" ფორვარდი **გუნარ ჰეიდარ თორვალდსონიც**. არადა, გასულ სეზონში მას 9-ნომრიანი მაისურა ემოსა. მაგრამ კლუბის შეფები მას უსამართლოდ მოექცნენ და გუნდის პირველი ფორვარდის ნომერი პატივისცემის ნიშნად, ახალწვეულ **მაიკ ჰანკეს** გადასცეს. თორვალდსონი უკმაყოფილო დარჩა, მაგრამ რა უნდა ექნა, 19-ს დაყაბულდა.

სამაგიეროდ, დორტმუნდის "ბორუსიის" ხელმძღვანელები გაცილებით სამართლიანები არიან. BVB-ს ახალწვეულმა **მლადენ პეტრიჩმა** თავიდან 11 აიღო და როცა დორტმუნდელებმა **სტივენ პიენაარი** გაანათხოვრეს, მხოლოდ ამის შემდეგ გამოთქვა პრეტენზია ათიანზე. "ბორუსიის" შეფებმა პეტრიჩს თხოვნა შეუსრულეს და მე-10 ნომერი უბოძეს, მაგრამ ამის შემდეგ ახალმა პრობლემამ იჩინა თავი: გუნდის ქომაგების უდიდეს ნაწილს პეტრიჩის 11-ნომრიანი მაისურა ჰქონდათ ნაყიდი და რაკი ამ ფეხბურთელმა უცებ ათიანი მიიღო, საკმაოდ არასასიამოვნო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მაგრამ ხელმძღვანელებმა სამართლიანობა შეინარჩუნეს და ფანებს ნება დართეს, გუნდის ოფისში, პეტრიჩის 11-ნომრიანი მაისურები, 10-ნომრიანებზე გადაეცვალათ. რა თქმა უნდა, უფასოდ!

შვაინშტაიგერი იძულებული გახდა, მე-7 ნომერი რიბერისთვის დაეთმო...

ამ მხრივ სრული თავისუფლება ენიჭებათ "კარლსრუეს" ფეხბურთელებს. ბადენელთა ახალწვეულმა **ანდრეას გიორლიტცმა**, რომელიც KSC-მ "ბაიერნიდან" ერთი წლით ინათხოვრა, 77-ნომრიანი მაისურა მოისურვა. 77 იმ როკ-ჯგუფის სახელწოდებაა, რომელშიც გიორლიტცი გიტარაზე უკრავს. გერმანიის საფეხბურთო ლიგა, საერთოდ, დიდი ნომრების სასტიკი წინააღმდეგია, მაგრამ DFL-ის ბოსებმა ანდის შემთხვევაში გამონაკლისი დაუშვეს და მას ნება დართეს, 77 აეღო. გიორლიტცი ამბობს, როცა "ბაიერნში" დავბრუნდები, იქაც 77-ს მოვითხოვო, მაგრამ საკითხავია, დართავს თუ არა მას ამის უფლებას **ული ჰაინესი**.

გიორლიტცმა რეკორდმაისტერში 18 ნომერი გაათავისუფლა, რომელიც ახლა **მიროსლავ კლოზეს** საკუთრებაა. ამ უკანასკნელს 9 ნომერი უნდოდა, მაგრამ როცა მირომ ბავარიულ გიგანტს მიაშურა, ეს ნომერი უკვე **ლუკა ტონის** საკუთრება იყო. 18 ნომერი კი მას ჰაინესმა ურჩია, არგუმენტით, 9+9=18...

დორტმუნდის "ბორუსიის" ნახევარმცველ **იაკუბ ბლაჟჩიკოვსკის** ისტორია ნომერს არ ეხება, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც გამოდგება. პოლონელმა მისთვის სასურველი ნომერი (16) უპრობლემოდ მიიღო, მაგრამ რაკი ძალიან გრძელი გვარი ჰქონდა, იმისთვის, რომ მაისურზეც ხეირიანად დატეულიყო და კომენტატორებისთვისაც გაეადვილებინა საქმე, ნომრის ზემოთ კუბა დაიწერა.

ბლაჟჩიკოვსკის ისტორია, **ნიკონ იევტიჩის** ისტორიასთან შედარებით არაფერია. ეს უკანასკნელი 14 წლის გახლავთ, უდიდეს ტალანტად მიიჩნევა და 2006 წლიდან "შალკეს" ბავშვთა გუნდში თამაშობს. მისი მშობლები დაფიქრდნენ, მომავალში, როცა ჩვენი ბიჭი დიდი ფეხბურთელი გახდება, გვარი, მაინც და მაინც, ლამაზი არ იქნებაო და ნიკონს გვარი შეუცვალეს! ახლა ამ სერბი ბავშვის სახელი და გვარი ასე ჟღერს: **ნიკონ ელ მაესტრო** (!!!). და სხვათა შორის, მისი ძმაც ამ გვარზე გადავიდა. განა, შესანიშნავად არ ჟღერს: ელ მაესტრო! ასეთი გვარის შემთხვევაში ნომერს ხომ არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს...

გოტფრიდ ლენცი


იოგი: კლინსმანის დაწყებული საქმე ღირსეულად უნდა დავასრულო

გერმანიის ნაკრების

ლიოვი: 2010 წლის მუნდიალი? მინდა!

გუნდესმწვრთნელი კონტრაქტის გაგრძელებაზე ალაპარაკდა...

გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი**, რომელმაც ზუსტად ერთი წლის წინათ, ამ თანამდებობაზე **იურგენ კლინსმანი** შეცვალა, გერმანიის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტის გაგრძელებაზე პირველად ალაპარაკდა. *"თუკი ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია, ცხადია, კონტრაქტს გავაგრძელებ. ჩემი მიზანიც სწორედ ის არის, რომ ბუნდესგუნდის სათავეში, რაც შეიძლება, დიდხანს ვიყო,"* – განაცხადა ლიოვმა "კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში. იოგის მოქმედ ხელშეკრულებას ვადა ერთი წლის შემდეგ, ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის დასრულებისთანავე ამოეწურება. გერმანიის საფეხბურთო კავშირის ოფიციალური ინფორმაციით, ლიოვის კონტრაქტის გახანგრძლივებაზე საუბრები ევროპის ჩემპიონატამდე დაიწყება.

"მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ ტურნირის შემდეგ მივიღებ და არაფრისდიდებით მანამდე!" – ამბობს ლიოვი და იქვე დასძენს, დღესდღეობით ჩემთვის ამაზე უკეთესი სამსახური არ არსებობს და ვერ წარმომიდგენია თანამდებობა, სადაც თავს უკეთესად ვიგრძნობდიო. ამასთან, იოგი არ გამორიცხავს, რომ მომავალში საკლუბო ფეხბურთს დაუბრუნდეს, თუმცა აღნიშნავს, რომ ამის შანსი ძალიან მცირეა.

"ახლა მხოლოდ ევროპის ჩემპიონატზე ვფიქრობ, მერე კი, ჩემი მიზანი, ბუნდესგუნდის მუნდიალზე გაყვანა და სამხრეთ აფრიკიდან ტრიუმფით დაბრუნება იქნება. მინდა, რომ კლინსმანის დაწყებული საქმე ღირსეულად დავასრულო!" – აცხადებს გერმანიის ნაკრების თავკაცი.

შტუტგარტი: პიტცლშპერგერი 2010 წლამდე, ბოკა დაშავდა

გერმანიის მოქმედმა ჩემპიონმა "შტუტგარტმა", თავის ლიდერსა და ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს შემოქმედს, ნახევარმცველ **თომას ჰიტცლშპერგერს** კონტრაქტი 2010 წლის ივნისამდე გაუგრძელა. 25 წლის ნახევარმცველის ხელშეკრულებას ვადა სეზონის ბოლოს ეწურებოდა. ამ ცნობამ შვაბური კლუბის ფანები ძალიან გაახარა, სამაგიეროდ, მათ ცუდი ინფორმაციაც შეიტყვეს: მარცხენა მცველი **არტურ ბოკა** დაშავდა და VFB-ს მინიმუმ სამი კვირა ვეღარ დაეხმარება.

ჟოსუე და შიმუნეკი გამგელდნენ

გუშინდელ ნომერშიც (ბუნდესლიგის პირველი ტურის გამოხმაურებაში) ვწერდით, რომ "ვოლფსბურგი" კიდევ გეგმავდა გაგძლიერებას. ახლა კი შეგვიძლია გამცნოთ, რომ პირველ ტურში განცდილი მარცხისა და თავისი გუნდის საშინელი თამაშის გამო შოკირებულმა **ფელიქს მაგათმა** ორი მაღალი კლასის ფეხბურთელი გადაიბირა. პირველი, 20 წლის ჩეხი მცველი **იან შიმუნეკი** გახლავთ, რომელმაც "ვოლფსბურგს" პრაღის "სპარტიდან" მიაშურა, მეორე კი, ბრაზილიის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი **ჟოსუე** (სან პაულოდან). 28 წლის ჟოსუე მაგათს კოპა ამერიკაზე მოეწონა – ეს ფეხბურთელი, ხსენებულ ტურნირზე, "სელესაოს" რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ.

შალკე

გროსმიულერი კობისთან!

ლარსენი კი დაშავდა და სლომკას ემდურის...

რაკი "შალკეს" **სტეფან აპიას** ტრანსფერი ჩაეშალა, ცხადი იყო, რომ ეს გუნდი სატრანსფერო ბაზარზე კიდევ ერთხელ უნდა გააქტიურებულიყო, რადგან დღესდღეობით, აბსოლუტურად ყველა ექსპერტი აღიარებს, რომ გელზენკირხენული კლუბის ნახევარდაცვაში ვაკუუმია შექმნილი, სიცარიელე, რომელიც **ჰამით ალთინთოფის** წასვლის შემდეგ გაჩნდა და რომელიც "აინტრახტიდან" შეძენილმა **ჯერმენ ჯონსმა** ვერ შეავსო. გუშინ, "შალკეს" შეფებმა ოფიციალურად დაადასტურეს, რომ 24 წლის ურუგვაელი ნახევარმცველი **კარლოს გროსმიულერი ლევან კობიაშვილის** თანაგუნდელი გახდა. ამ უკანასკნელმა "ხუმარებთან" კონტრაქტი 2011 წლამდე გააფორმა.

"შალკეს" მთავარი მწვრთნელის, **მირკო სლომკას** თქმით, გროსმიულერი უნივერსალური ნახევარმცველია, რომელსაც გამთამაშებლობის ნიჭთან ერთად, საყრდენობისა და ფლანგის ნახევარმცველობის ნიჭიც აქვს. გროსმიულერმა გელზენკირხენს ურუგვაის ჩემპიონ "დანუბიოდან" მიაშურა და ახლა, კობის გუნდში, **გუსტავო ვარელასა** და **დარიო როდრიგესის** შემდეგ, რიგით მესამე ურუგვაელია. "ბილდის" ინფორმაციით, ხუმარებს მისი შეძენა 3.5 მილიონი ევრო დაუჯდათ.

აქვე გეტყვით, რომ "შალკეს" დანიელმა ფორვარდმა **სიიარენ ლარსენმა** ვარჯიშზე მძიმე ტრავმა მიიღო. როგორც გელზენკირხენული კლუბის სამედიცინო შტაბი იტყობინება, ლარსენი დაახლოებით თვენახევარი დაისვენებს. 25 წლის ფორვარდმა დანიურ პრესასთან საუბრისას განაცხადა, რომ ძალიან ნაწყენია სლომკაზე – როცა ტრავმა მივიღე და ტკივილისგან ვყვიროდი, ჩემთან არ მოვიდა, მოშორებით იდგა და მშვიდად უყურებდა, როგორ ვიტანჯებოდიო. ლარსენი, პირველ რიგში, იმის გამოა უკმაყოფილო, რომ მწვრთნელი თითქმის არასდროს ათამაშებს. რაკი სლომკა მხოლოდ ერთი ცენტრფორვარდით თამაშობს, ლარსენი ძირითადში ვერასდროს ხვდება და შეცვლებზეც იშვიათად უწევს ასპარეზობა, რადგან "შალკეს" ერთადერთი გამოკვეთილი ცენტრფორვარდი **კევინ კურანია**.

აქვე გეტყვით, რომ "შალკემ" **კრისტიან პანდერს** კონტრაქტი გაუგრძელა. მარცხენა მცველს ხელშეკრულების ვადა სეზონის ბოლოს ეწურებოდა და რაკი ის მადრიდის "რეალის" თვალთახედვის არეში მოხვდა, ბოსებმა აღარ დააყოვნეს და პანდერს ახალი კონტრაქტი გაუფორმეს, რომელსაც ვადა 2011 წლამდე აქვს.

შალკეს პრეზიდენტი შნუზენბერგი, ახალწვეული გროსმიულერი და მენეჯერი მიულერი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დიკ ადვოკაატი

მოსალოდნელი დანიშვნა

ადვოკაატი ავსტრალიაში მიდის

"დეილი ტელეგრაფის" ცნობით, **დიკ ადვოკაატი** ავსტრალიელთა შეთავაზებას დათანხმდა. იანვრიდან ის ამ ქვეყნის ნაკრებს ჩაიბარებს. ადვოკაატი სამომავლო გეგმების საჯარო განხილვისგან თავს იკავებს. მოგეხსენებათ, ის პეტერბურგის "ზენიტის" მწვრთნელია. პეტერბურგელები რუსეთის ჩემპიონობისთვის იბრძვიან. 20 ტურის შემდეგ მათ მეორე ადგილი უკავიათ და ლიდერი "სპარტაკისგან" ხუთი ქულა აშორებთ. რუსეთის პირველობა ნოემბერში მთავრდება. ავსტრალიაში გამგზავრებამდე ადვოკაატი საფუძვლიან დასვენებასაც მოასწრებს. "სოკერუუბს" მისტერ დიკის დანიშვნა ჯერ კიდევ 2005 წლის ზაფხულში სურდათ. მას შეხვდნენ და გაესაუბრნენ კიდეც, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი ადვოკაატის თანამემამულე **გუუს ჰიდინკზე** შეაჩერეს. მან ავსტრალია მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში გაიყვანა. ჰიდინკის გადადგომის შემდეგ "სოკერუუბი" მისმა ასისტენტმა **გრემ არნოლდმა** ჩაიბარა. არნოლდის შეგირდებმა აზიის თასზე სუსტად ითამაშეს. მისტერ გრემი სექტემბერსა და ოქტომბერში, არგენტინასა და ჩინეთთან ამხანაგურ მატჩებშიც გაიყვანს გუნდს, შემდეგ კი თანამდებობას ადვოკაატს გადააბარებს. გრემ არნოლდს უმუშევრად დარჩენა არ ემუქრება. ის ავსტრალიის ახალგაზრდულ ნაკრებში გააგრძელებს მოღვაწეობას და მას პეკინის ოლიმპიადისთვის მოამზადებს. ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციასთან მისი კონტრაქტი 2010 წელს იწურება.

ოუენი მომავალ უქმეებზე დაბრუნდება?

მაიკლ ოუენი მინდორზე დაბრუნებას მომავალ უქმეებზე აპირებს. შაბათს "ნიუკასლი" "ასტონ ვილას" უმასპინძლებს. თავდამსხმელს კი იმედი აქვს, რომ განაცხადში მოხვდება. 27 წლის ფორვარდმა ორშაბათს მეორე გუნდის შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა. მას ორი საუცხოო მომენტი ჰქონდა, მაგრამ მეტოქე გუნდის მცველებმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანეს. **სემ ელერდაისის** გარდა, მაიკლის დაბრუნებას **სტივ მაკლარენიც** მოუთმენლად ელოდება. სექტემბრის უმნიშვნელოვანესი საკვალიფიკაციო მატჩების წინ ინგლისის ნაკრებს **უეინ რუნი** გამოაკლდა. თუ ოუენი ოპტიმალურ ფორმას მიუახლოვდება, ნაკრებს ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს. აქვე გეტყვით, რომ "ნიუკასლის" მეორე გუნდის შემადგენლობაში ითამაშეს **შოლა ამეობიმ**, რომელიც ახლახან განიკურნა, ბრაზილიელმა ახალწვეულმა **კლაუდიო კასაპამ** და **კირონ დაიერმა**, რომლის "ვესტ ჰემში" ტრანსფერი ბოლო წუთებში ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო ჩაიშალა.

რა ელის კრაუჩს?

პიტერ კრაუჩი **რაფა ბენიტესთან** შეხვედრას აპირებს. ინგლისელ თავდამსხმელს სურს იცოდეს, რა ადგილი უკავია მწვრთნელის სამომავლო გეგმებში. **ფერნანდო ტორესის** "ლივერპულში" ტრანსფერის შემდეგ კრაუჩი ჩრდილში მოექცა. "ასტონ ვილასთან" პირველ ტურში (2:1) ის სკამზე გაამწესეს და შეცვლაზეც კი არ ათამაშეს. ბენიტესმა ძირითადში ტორესი და **დირკ კუიტი** დააყენა. მიმომხილველებმა ამ დუეტს მაღალი შეფასება მისცეს. სენიორ რაფა ამბობს, რომ გადატვირთული კალენდრის გამო შეუძლებელია, ფეხბურთელმა უკლებლივ ყველა მატჩი შეუცვლელად ჩაატაროს. ამიტომ წინა სეზონების მსგავსად, ის შემადგენლობის მუდმივ როტაციას არც წლეულს მოერიდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ადრე თუ გვიან, ყველა ფეხბურთელს მიეცემა თავის გამორჩენის შანსი.



ვილიამ გალასი

არსენალი

ჟილბერტო: რატომ გალასი?

ბრაზილიელს ვიცე-კაპიტნობა არ აკმაყოფილებს

ტიერი ანრის წასვლის შემდეგ **არსენ ვენგერმა** "არსენალის" ახალი კაპიტანი აირჩია. მან სამკლაური გამოცდილ ფრანგ მცველ **ვილიამ გალასს** გადასცა. ვიცე-კაპიტნად კი არანაკლებ გამოცდილი ბრაზილიელი ნახევარმცველი **ჟილბერტო სილვა** და კოტდივუარელი მცველი **კოლო ტურე** დაასახელა. ჟილბერტომ ფუნქციათა ასეთი განაწილებით უკმაყოფილება ვერ დამალა. ის ბრიტანელ მიმომხილველებს გაესაუბრა და საამისო მიზეზი გაუმხილა: *"მწვრთნელის გადაწყვეტილებამ ძალიან გამაკვირვა. არ მესმის, რატომ დაასახელეს კაპიტნად ვილიამ გალასი. გასულ სეზონში, როცა ტიერი ანრი დაშავებული იყო, სამკლაური მე მეკეთა. ხოლო როცა ტიერი "ბარსელონაში" წავიდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ კაპიტნად მე ამირჩევდნენ. რა გაეწყობა? ცხოვრება გრძელდება. გული მწყდება, რომ არსენ ვენგერმა თავისი გადაწყვეტილების შესახებ არაფერი მითხრა და ეს ინფორმაცია ინტერნეტიდან შევიტყე."*

მოსიე არსენს ჟილბერტოს განცხადებაზე კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა მიმომხილველებს განუმარტა, რატომ შეაჩერა არჩევანი, მაინცა და მაინც, გალასზე: *"ვილიამს ყველა თვისება აქვს საიმისოდ, რომ გუნდს გაუძღვეს. კაპიტანს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება. ის ყველა მატჩში განსაკუთრებულ როლს თამაშობს. დარმწუნებული ვარ, ვილიამი მოვალეობას თავს გაართმევს. არც კოლო ტურესა და ჟილბერტოს შესაძლებლობებში მეპარება ეჭვი."*

მკითხველს შევახსენებთ, რომ **ჟილბერტო სილვა** შვებულებიდან ჯერაც არ დაბრუნებულა. მას მინიმუმ სამი კვირა გაუცდება. ჟილბერტომ "ფულჰემთან" პირველი ტურის მატჩი (2:1) გამოტოვა. ის ლონდონელებს პრაღის "სპარტასთან" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო შეხვედრებშიც ვერ დაეხმარება. ვენგერის თქმით, ბრაზილიელი ნახევარმცველი დაშავებული არ არის. ხანგრძლივი სეზონისა და კოპა ამერიკის შემდეგ ის უბრალოდ, გადაღლილია. კლუბმა კი ფეხბურთელის მდგომარეობა გაითვალისწინა და შვებულება გაუგრძელა.

ალფრედო დი სტეფანო

ინტერვიუ ალფრედო დი სტეფანოსთან

ჩემპიონობა, მაგრამ უკვე ლამაზი ფეხბურთით

დი სტეფანოს მიაჩნია, რომ მომავალში რეალი თავის აღზრდილებს უნდა დაეყრდნოს

"რეალში" თაობები იცვლებიან, პრეზიდენტები და მწვრთნელები მიდი-მოდიან, მაგრამ ერთი კაცი იქ ყოველთვის რჩება - ალფრედო დი სტეფანო, სამეფო კლუბის ცოცხალი ლეგენდა. მართალია, ღრმადმოხუცებული დი სტეფანო "რეალის" ყოველდღიური განამანიისგან შორსაა, მაგრამ მის ავტორიტეტულ აზრს შუდამ აქვს გასაქანი და მნიშვნელობა. ამიტომ, ახალი სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით, კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა საზოგადოებას დი სტეფანოს ინტერვიუც შესთავაზა. **რა აზრისაა წარსულის ერთ-ერთი უდიდესი საფეხბურთო ფიგურა "რეალში" მიმდინარე მოვლენებზე?**

- რას ფიქრობთ "რეალის" ახალწვეულებზე?

- ესენი არიან პრესტიჟული, ავტორიტეტული მოთამაშეები, რომლებიც, იმედი მაქვს, დაამტკიცებენ, რომ "რეალის" ღირსები არიან და შესაბამისად, გუნდს დიდ სარგებელს მოუტანენ.

- მათ შორის, ორი ცენტრალური მცველია. როგორ ფიქრობთ, რამდენად სჭირდებოდა დღეს გუნდს დაცვის გაძლიერება?

- არჩევანი მთავარმა მწვრთნელმა გააკეთა. ეტყობა, ასე იყო საჭირო, მან უკეთ იცის, ვინ და რა სჭირდება. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამაზე პასუხისმგებელი მხოლოდ შუსტერია.

- როგორ გგონიათ, "ბარსელონამ", "სევილიამ" და "მონაკომ" არ იცოდნენ, როგორ გამოეყენებინათ სავიოლა?

- იცით, წარმოდგენაც არ მაქვს. ძალიან მომწონდა მისი თამაში "რივერ პლეიტში", აიმარისა და კიდევ რამდენიმე შესანიშნავი მოთამაშის მხარდამხარ. ვფიქრობ, მან არაერთხელ დაამტკიცა, რომ ნიჭიერი ფეხბურთელია.

- "რეალში" თუ გამოაჩენს ამ ნიჭს?

- ამას მე ვერ შეგპირდებით, მაგრამ იმედია, გამოაჩენს. ეს უნდა მთელ მადრიდს...

- როგორ დაახასიათებდით მის სათამაშო მონაცემებს?

- ის არის შესანიშნავი ფორვარდი, რომელიც კარზეა დაგეშილი. დანარჩენი მოედანზე ვნახოთ...

- როგორი მომავალი აქვს სავიოლასა და ვან ნისტელროის დუეტს?

- ამაზე საუბარი ჯერ ადრეა. მაგრამ კიდევ ვიმეორებ: მჯერა, ხავიერი სარგებელს მოგვიტანს.

- ჰოლანდიელი, ისევე, როგორც თქვენ, პირველივე მადრიდულ სეზონში ბომბარდირი გახდა. რას ფიქრობთ ვან ნისტელროიზე?

- მას აქვს ტოპ-ფორვარდისთვის საჭირო აბსოლუტურად ყველა თვისება. მან ეს უკვე დაამტკიცა ჰოლანდიაში, მერე ინგლისში და აგერ, ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა "რეალშიც". რაც მთავარია, რუუდს შეუძლია შედეგის უზრუნველყოფა. ასე უნდა გააგრძელოს...

- თქვენ სამ ქვეყანაში გახდით საუკეთესო ბომბარდირი. გრძნობდით რაღაც განსაკუთრებულ დამოკიდებულებას გულშემატკივრების მხრიდან?

- დიახ, მაგრამ ხალხს ზოგჯერ კარგი ავინყდება ან ამაზე შეგნებულად არაფერს ამბობს...

- რას ფიქრობთ მეკარე იერჟი დუდეკზე? სნორი გადაწყვეტილება იყო მისი შონვევა?

- რაკი კონტრაქტი გაუფორმეს, ესე იგი გუნდს სჭირდებოდა. "რეალის" აკადემიაში ბევრი ნიჭიერი მეკარეა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობას, როგორც ვავიგე, არ სურს, რომ მათი ზრდა სათადარიგოთა სკამზე ჯდომით შეაჩეროს. კასილიასი უპირობოდ პირველი მეკარეა და ამას დუდეკიც აღიარებს.

- მეკარეები გარდა, არიან კიდევ პერსპექტიული მოთამაშეები?

- რა თქმა უნდა! შეხედეთ ესპანეთის ასაკობრივ ნაკრებებს. მათ რიგებში ნამყვან პოზიციებზე სწორედ "რეალის" აღზრდილები არიან. ცხადია, ამ ბიჭებთან ჯერ კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო, მომავლისთვის კი ძირითადი გუნდი მათ უნდა დაეყრდნოს. ამას მიზანმიმართული პოლიტიკა სჭირდება.

- დუდეკი ვახსენეთ და, სამეფო კლუბში პოლონელი ადრეც თამაშობდა - რაიომონ კოპა. რას იტყოდით მასზე?

- ის იყო ექსტრა-კლასის მოთამაშე. მეტი რაღა გითხრათ?

- თქვენ მეგობრები იყავით?

- მაშინდელ "რეალში" ყველა მეგობრები ვიყავით.

- როცა მადრიდში ჩამოვიდა, კოპამ, თურმე, 9-ნომრიანი მაისურა მოითხოვა, რის გამოც თქვენს შორის უთანხმოება მოხდა. მართალია ეს?

- არ არის მართალი და გეტყვით, რატომ. დიახ, "ცხრიანი" ჩემი იყო, მაგრამ როცა კოპა ჩამოვიდა, გულახდილად გეუბნებით, ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, "ცხრიანს" ჩავიცვამდი თუ "29-ანს".

- ამ სეზონში ქომაგები "რეალისგან" უკეთეს ფეხბურთს უნდა ელოდონ?

- ამის ძალიან დიდი იმედი მაქვს და ძალიან მინდა, რომ ეს იმედი რეალობად იქცეს. ჩემპიონები კი გავხდით, მაგრამ ლამაზი თამაში ვერ ვაჩვენეთ, ეს კი "რეალის" ფილოსოფიისგან შორსაა. გულშემტკივრები განბილებულები იყვნენ. ახლა ჩვენ უნდა გავიმეოროთ გასული სეზონის მიღწევა, მაგრამ უკვე ლამაზი, ეშხიანი ფეხბურთით.

- შუსტერის წინაშე რთული ამოცანებია...

- უეჭველად. "რეალი" ყოველთვის უკეთესისკენ ისწრაფვის და ეს ეხება მწვრთნელის შერჩევასაც. შუსტერმა თამაშის ხარისხი უნდა გააუმჯობესოს, მიუახლოვოს ის იდეალურის ზღვარს.

- რას ფიქრობთ "რეალი"-"ატლეტიკოს" სასტარტო დერბიზე?

- აქ მარტო ჩემპიონატის პირველ ტურზე არ არის ლაპარაკი. მადრიდული დერბი განსაკუთრებული მოვლენაა. ფანები ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ, ემოციები ძალიან დიდია. "ატლეტიკო" მუდმივი და მთავარი მეტოქეა.

- ...უფრო მეტად, ვიდრე "ბარსელონა"?

- ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასეა. მე მადრიდში ვცხოვრობ და არა ბარსელონაში ან სარაგოსაში. ამიტომ, "რეალი"-"ატლეტიკო", ვიმეორებ, ჩემთვის განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს.

- თქვენი პროგნოზით, ჩემპიონობისთვის ბრძოლა ბოლო ტურამდე იქნება, როგორც ეს წინა გათამაშებაში იყო?

- როცა ჩემპიონი ბოლო ტურში ირკვევა, ეს ყველასთვის უმძიმესი გამოცდაა, მაგრამ ამავდროულად, ამას განუმეორებელი ხიბლიც აქვს. პროგნოზი? პროგნოზს ვერ გავაკეთებ, მაგრამ იმას კი ვისურვებდი, რომ პრემერა დივიზიონის ფინიში კვლავ დრამატული და "რეალისთვის" ამჯერადაც წარმატებული იყოს.

- შეძლებს "რეალი" ჩემპიონთა თასის მეათედ მოგებას?

- გუნდი ყოველ წელიწადს ამ ამოცანას ისახავს მიზნად და ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან თუ არ გაქვს მიზანი, მას ვერასოდეს მიაღწევ. ნებისმიერ ტურნირში გამარჯვება, თუნდაც ეს ამხანაგური თამაშები იყოს, ამხელა რეპუტაციის მქონე კლუბისთვის უბრალოდ, აუცილებელია. რა თქმა უნდა, იყო გამონაკლისებიც, მაგრამ ჩვენ ყოველთვის სანახაობრივი ფეხბურთისთვის ვიყავით მომართულები. ამიტომაც უყვართ "რეალი" ყველა კონტინენტზე, ჩინეთიდან არგენტინამდე...

- "ბარსელონის" შენაძენებს როგორ დაახასიათებდით? ანრი, მილიტო...

- გამოგიტყდებით და, სხვა გუნდების ტრანსფერებს, მაინც და მაინც, ყურადღებას არ ვაქცევ. ჩემთვის მთავარი "რეალია". მოდით, დაველოდოთ ჩემპიონატის სტარტს და ვნახოთ, ვინ რას წარმოადგენს.

- ხომ არ გგონიათ, რომ "რეალს" ფლეიმეიქერი სჭირდება?

- ამაზე შეგნებულად არ ვილაპარაკებ, რადგან ეს მწვრთნელის საქმეა. ყველას თავისი აზრი აქვს და ამას პატივი უნდა ვცეთ. ნებისმიერ შემთხვევაში, მოთმინება გვმართებს. სადაცაა დაიწყება ჩემპიონატი და მერე შეაფასეთ სიტუაცია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

საქართველოს ნაკრების სამზადისზე

რვაში ოთხი

დანარჩენს ოფიციალური მატჩები გვიჩვენებს



კენ შილდსი

ბულგარ.-საქართველო	97:65

24:24, 13:12, 28:15, 34:14

საქართველო: ფაჩულია (20 წთ. 21 ქ. 3 მ. 1 პ. 1 ჩ. 3 შ. 5 ფ), ცინცაძე (32 წთ. 3 ქ. 5 მ. 3 პ. 1 ჩ. 4 შ), მ. მარკოიშვილი (29 წთ. 15 ქ. 6 მ. 3 ჩ. 1 დ. 1 შ), ა. ბოისა (26 წთ. 3 მ. 1 პ), ნაცვლიშვილი (26 წთ. 8 ქ. 4 მ. 1 პ. 1 ჩ. 3 შ) - უგრეხელიძე (24 წთ. 9 ქ. 5 მ. 1 შ), გამყრელიძე (23 წთ. 7 ქ. 3 მ. 2 პ. 1 შ), ბაბიაშვილი (10 წთ. 2 ქ. 1 მ. 1 შ. 5 ფ), გ. მარკოიშვილი (5 წთ. 1 შ), ლეჟავა (1 წთ)

საქართველო-მაკედონია	86:82

16:24, 30:12, 13:23, 27:23

საქართველო: ფაჩულია (39 წთ. 39 ქ. 9 მ. 3 ჩ. 2 დ), ნაცვლიშვილი (33 წთ. 14 ქ. 6 მ), ცინცაძე (25 წთ. 10 ქ. 2 მ), მ. მარკოიშვილი (34 წთ. 9 ქ), ა. ბოისა (21 წთ. 1 ქ) - ტულუში (18 წთ. 7 ქ. 3), გამყრელიძე (25 წთ. 6 ქ. 6 ჩ. 5 მ. 3 პ. 1 დ), უგრეხელიძე (7 წთ)

საქართველო-დანია	88:68

26:25, 22:14, 18:19, 22:10

საქართველო: ცინცაძე (26 წთ. 12 ქ. 8 პ. 3 ჩ), ა. ბოისა (15 წთ. 4 ქ), მ. მარკოიშვილი (14 წთ. 4), ბაბიაშვილი (23 წთ. 10 . 4 მ), ფაჩულია (34 წთ. 37 ქ. 9 მ) - გამყრელიძე (28 წთ. 7 ქ), უგრეხელიძე (21 წთ. 1 ქ. 6 მ), შერმადინი (2 წთ. 2 ქ), ლეჟავა (21 წთ. 11 ქ. 2 მ), ტულუში (8 წთ), გ. მარკოიშვილი (7 წთ)

საქართველო-რუმინეთი	88:58

25:11, 16:16, 24:15, 23:16

საქართველო: ცინცაძე (20 წთ. 2 ქ), ელისი (21 წთ. 9 ქ), მ. მარკოიშვილი (18 წთ. 11 ქ), სანიკიძე (12 წთ. 10 ქ), უგრეხელიძე (25 წთ. 6 ქ. 7 მ) - გამყრელიძე (21 წთ. 11 ქ. 4 პ), ტულუში (14 წთ. 8 ქ), ა. ბოსა (14 წთ. 2 ქ. 4 მ), ნაცვლიშვილი (20 წთ. 11 ქ. 6 მ), შერმადინი (8 წთ. 4 ქ), ლეჟავა (11 წთ. 3 ქ), ბაბიაშვილი (15 წთ. 11 ქ)

პორტუგ.-საქართველო	70:56

16:16, 20:13, 15:10, 19:17

საქართველო: ცინცაძე (18 წთ. 3 ქ), ელისი (19 წთ. 8 ქ), მ. მარკოიშვილი (21 წთ. 4 ქ), სანიკიძე (29 წთ. 10 ქ. 9 მ), უგრეხელიძე (17 წთ. 4 ქ. 6 მ) - გამყრელიძე (22 წთ. 11 ქ. 3 პ), ტულუში (14 წთ. 8 ქ), ა. ბოისა (5 წთ), ნაცვლიშვილი (20 წთ. 7 ქ. 6 მ), ლეჟავა (5 წთ. 5 ქ), ბაბიაშვილი (20 წთ)

ტუნისი-საქართველო	68:48

17:13, 16:17, 16:10, 19:8

საქართველო: ცინცაძე (18 წთ. 5 ქ), ელისი (30 წთ. 13 ქ), მ. მარკოიშვილი (23 წთ. 5 ქ), სანიკიძე (34 წთ. 3 ქ. 7 მ), უგრეხელიძე (10 წთ) - გამყრელიძე (17 წთ), ტულუში (16 წთ), ა. ბოისა (5 წთ), ნაცვლიშვილი (28 წთ. 14 ქ. 9 მ), შერმადინი (4 წთ. 2 ქ), ლეჟავა (3 წთ. 2 ქ), ბაბიაშვილი (11 წთ. 4 ქ)

საქართველო-ინგლისი	65:63

საქართველო: გამყრელიძე (1 ქ), ელისი (15 ქ), მ. მარკოიშვილი (17 ქ. 4 მ), ნაცვლიშვილი (3 ქ), ფაჩულია (12 ქ. 12 მ. 3 პ) - სანიკიძე (11 ქ. 6 მ), ცინცაძე (4 ქ), უგრეხელიძე (2 ქ), ბაბიაშვილი, ა. ბოისა

საქართველო-ინგლისი	64:82

23:12, 16:17, 12:29, 13:24

საქართველო: გამყრელიძე, ელისი (8 ქ), მ. მარკოიშვილი (11 ქ. 4 მ), ნაცვლიშვილი, ფაჩულია (25 ქ. 6 მ) - ცინცაძე (6 ქ), სანიკიძე (11 ქ. 5 მ), ტულუში (3 ქ), ა. ბოისა, უგრეხელიძე

21 აგვისტოს, ლუქსემბურგში საქართველოს ნაკრები 2007 წლის პირველ ოფიციალურ მატჩს ჩაატარებს. ლუქსემბურგს ავსტრია მოჰყვება, შემდეგ ისლანდია და 2 სექტემბერს ფინეთს ვუმასპინძლებთ. ფინეთამდე სამივე შეხვედრაში თუ გავიმარჯვეთ, დიდი შანსია, ჩვენი ჯგუფიდან ორი საუკეთესო, საქართველო და სუომი გავიდეს. ელიტაში გადასასვლელად კიდევ ერთი გამოცდა გველის - 11 და 15 სექტემბერს ფლეი ოფია, რომლის გამარჯვებული, გაისად, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ითამაშებს, 2009 წელს კი ევროპის პირველობაა, რომელსაც პოლონეთი უმასპინძლებს.

მოკლედ გაგაცანით საქართველოს ნაკრების გზა ევრო-2009-მდე, მაგრამ ამ გზაზე საუბარი ლუქსემბურგელებსაც შეუძლიათ. მთავარია, რისი შესაძლებლობა გააჩნიათ.

ჯუჯები ყოველთვის ჩვენზე უკეთ ემზადებიან - ნაკრების შეკრება ივნისიდან იწყება და ვარჯიშის პარალელურად საკონტროლო მატჩებსაც უხვად ატარებენ, მაგრამ მაინც აუტსაიდერებად რჩებიან. ქართველები პირიქით - ოფიციალურ შეხვედრებამდე ერთი თვით ადრე, ისიც სანახევროდ იკრიბებიან და მიუხედავად ამხანაგურების სიმრავლისა, სრულყოფილი შეკრება თავის ისტორიაში ერთხელაც არ ჰქონიათ, მაგრამ ყოველთვის B დივიზიონის ფავორიტები არიან.

ასე რომ, თუკი ლუქსემბურგისთვის A ლიგაში მოსახვედრად სათამაშო კლასია არასაკმარისი, ჩვენ B დივიზიონში რომ ვყურყუტებთ, არასათანადო მომზადების ბრალია. ცუდ მომზადებას შეიძლება სამი რამე განაპირობებდეს: შეკრების ხანგრძლივობისა და საკონტროლო მატჩების სიმცირე, შეკრებაზე მოთამაშეთა არყოფნა ან დაგვიანება და მესამე - მწვრთნელის დაბალი კლასი.

ჩვენი ნაკრების არასათანადო მომზადების მიზეზი ყოველთვის კალათბურთელთა დაგვიანება იყო.

სამწუხაროდ, ამ პრობლემას თავი ვერც წელს ავარიდეთ: ოფიციალური შეკრების პირველ დღეს, 18 ივლისს ნაკრებს **ნიკა ცქიტიშვილი, ვლადიმერ ბოისა** და **ტაირონ ელისი** აკლდნენ. ტაირონმა 22 ივლის ქორწილი გადაიხადა და ერთ კვირაში ქართველებს შეუერთდა. ცქიტო და ბოისა ნაკრებში ჯერაც არ გამოცხადებულან. ნიკას საფრანგეთის ვიზა არა აქვს და იტალიიდან (სადაც "ტერამოსთან" კონტრაქტი გააფორმა) ჯერ საქართველოში უნდა ჩამოსულიყო და ნაკრების ფრანგულ შეკრებაზე შემდეგ გამგზავრებულიყო. რადგან მას სატრანსფერო საქმე გაუჯანჯლდა, შეიძლება პოში ჩასვლა ვერ მოასწროს და ვერც ლუქსემბურგში ითამაშოს. საკლუბო საკითხში ვლადიმერ ბოისაც ნიკას მსგავს სიტუაციაშია. ამას ემატება ისიც, რომ მეორე ბავშვს დღე-დღეზე ელის და ჯერაც უცნობია, ითამაშებს თუ არა ვოვა ნაკრებში.

აქვე უნდა გავიხსენოთ მთავარი მწვრთნელის, **კენ შილდსის** ნათქვამი: *"ბოისას დიდ პატივს ვცემ. მისი მდგომარეობა გასაგებია. თუ ოფიციალურ მატჩებამდე ჩვენთან ერთი კვირით მაინც ივარჯიშებს, ხომ კარგი, თუ ამას ვერ მოახერხებს, შეიძლება გვერჩივნოს ბოლომდე იმ კონტინგენტზე დაყრდნობა, რომელიც ერთი თვე ერთად ივარჯიშებს"*.

კენ შილდსმა ეს 21 ივლისს თქვა, მაშინ არც უფიქრია, რომ ბოისას დარად ნიკა ცქიტიშვილიც დაიგვიანებდა. ამიტომ ზემოთ ნათქვამი, ალბათ, ცქიტოსაც უნდა შეეხოს.

ამჯერად მწვრთნელის განსჯისგან თავს შევიკავებთ, რადგან მან ჩვენზე უკეთ იცის გუნდთან შეუწყობელი ლიდერის მოედანზე გაყვანა სჯობს, თუ მისი შემცვლელის მათ შორის ძიება, ვინც ერთი თვე ივარჯიშა. ამას ოფიციალური მატჩები უკეთ დაგვანახებს. თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ჯერ კიდევ არის ვოვასა და ნიკას ნაკრებში თამაშის შანსი.

ახლა მზადების პროცესზე ვთქვათ. შარშანწინ საკონტროლო მატჩები გერმანიასთან, იტალიასთან, საბერძნეთთან, თურქეთთან, ბელორუსთან და ბულგარეთთან გავმართეთ. წლეულს შედარებით მოკრძალებული მეტოქეები გვყავდა - ბულგარეთი, პორტუგალია, დანია, ბრიტანეთი, მაკედონია, ტუნისი და რუმინეთი. თუმცა შედეგებიდანაც გამოჩნდა, რომ მზადყოფნის შესამოწმებლად ეს გუნდებიც გამოსადეგია - 8 მატჩიდან მხოლოდ 4 მოვიგეთ.

არაოფიციალურმა შეხვედრებმა ბევრი რამ დაგვანახვა. მათ შორის მთავარი **ზაზა ფაჩულიას** გაზრდილი როლი იყო. მაგალითად: პირველივე მატჩში ბულგარეთთან როცა ზაზამ მეხუთე ფოლი მიიღო და მოედანი დატოვა, მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით ვაგებდით. იმ თამაშში კი ბულგარელებმა 97:65 იმარჯვეს. მეორე დღეს ზაზამ 39 წუთში 39 ქულა ჩააგდო, რაც სანაკრებო რეკორდი გახლდათ. მანამდე 36 ქულა სწორედ ფაჩულიას ჰქონდა მოგროვებული. ატლანტელის გარეშე პორტუგალიის ტურნირზე მასპინძლებთანაც წავაგეთ და ტუნისთანაც.



ზაზა ფაჩულია

მეორე, რაც ნებისმიერ ქართველს გაეხარდებოდა, **ცინცაძე-სანიკიძე-ნაცვლიშვილისთვის** შარშანდელთან შედარებით მეტი სათამაშო დროის გამოყოფა იყო. თუ წინა წელს მწვრთნელი **გორდონ ჰერბერტი** ამ სამეულს მნიშვნელოვან შეხვედრებში (ავსტრიასა და ფინეთთან) ვერ ენდო, კენ შილდსმა ისინი სასტარტო შემადგენლობის კალათბურთელებად აქცია: გიორგი ცინცაძემ ექვსი მატჩი ძირითად შემადგენლობაში დაიწყო. ბულგარეთის ტურნირზე ძირითად შემადგენლობაში მძიმე ფორვარდად ვატო ნაცვლიშვილი თამაშობდა, ხოლო პორტუგალიაში - ვიქტორ სანიკიძე. სასიამოვნოა ისიც, რომ ეს სამეული დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებდა. ვატომ და ვიქტორმა ვლადიმერ ბოისა მეოთხე ნომრის პოზიციაზ-ე ღირსეულად შეცვალეს. თუკი მწვრთნელი მათ ოფიციალურ შეხვედრებშიც ასევე ენდო, გამოდის, რომ შარშანდელთან შედარებით სამი ევროკლასის ლეგიონერით გავძლიერდებით.

ლაშა გამყრელიძის გვერდით გიორგი ცინცაძის ათამაშება მწვრთნელებს უკანა ხაზში ვარირების საშუალებას მისცემს. მათთან ერთად ხომ **ტაირონ ელისიცაა,** რომელიც კარგი მსროლელიცაა და გამთამაშებელიც.

ცალკე საუბრის თემაა **მანუჩარ მარკოიშვილი.** იგი "ოლიმპიაშიც" მთავარი დამცველი იყო და ნაკრებშიც უწევს ყველაზე ძლიერი მეტოქეების შეკავება. ბრიტანეთის ნაკრების წინააღმდეგ მატჩისას მანუს "ჩიკაგოს" მსუბუქი ფორვარდის, **ლუოლ დენგის** (NBA-ში შარშან საშუალოდ 18 ქულას აგროვებდა) მეურვეობა დაეკისრა და დავალება პირნათლად შეასრულა: დენგმა ჩვეულად ვერ გაიბრწყინა, ხოლო მაროკიშვილი საქართველოს ნაკრების სნაიპერი გახდა.

ასე რომ, 8 მატჩიდან ნახევრის მოგება გვათქმევინებს - მოსამზადებელმა ეტაპმა არც მთლად კარგად ჩაიარა და არც - ცუდად. დანარჩენზე ოფიციალური მატჩების შემდეგ შეგვეძლება საუბარი.

ვაჟა სიმონიშვილი

კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
B დივიზიონი

25 აგვისტო
საქართველო VS ავსტრია
დასაწყისი: 19.00

2 სექტემბერი
საქართველო VS ფინეთი
დასაწყისი: 19.00

სახალხო ბანკი
PEOPLE'S BANK

GEOSPORT
ვარაზი
HOTEL VARAZI

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ძიუდო

გრიგოლ შინჯიკაშვილი (მარცხნივ)

გრიგოლ შინჯიკაშვილი უნივერსიადის ჩემპიონია

ტაილანდში, მსოფლიო უნივერსიადაზე, გუშინ, ქართული მონაგარიც გაიხსნა. თანაც, ოქროს მედლით, რომელიც ძიუდოისტმა **გრიგოლ შინჯიკაშვილმა** (81) მოიპოვა. მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მთელი ტურნირი დამაჯერებლად ჩაატარა და ღირსეულად იჩემპიონა, თუმცა ფინალური ორთაბრძოლა ძლიერ დაძაბული გამოდგა.

შინჯიკაშვილი პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი იტალიელი **ლორენცო ბანიოლი** ვაზარით დასცა. მომდევნო სამი შეხვედრა ქართველმა კიდევ უფრო დიდი აღმავლობით ჩაატარა - სამივე იპონით მოიგო და ფინალში გავიდა. საამისოდ ბელარუსი **მიკალაი ბარკოუსკის,** გერმანელი **რენე კრისტოფ ლამბერტისა** და თბილისელი მაყურებლისთვის ჩვენი ტურნირიდან კარგად ნაცნობი იაპონელი **ჰიროტაკა კატოს** გზიდან ჩამოშორება დასჭირდა. ბელარუსი სულ რაღაც 49 წამში დაამარცხა.

ბადის მეორე ნახევრიდან ფინალის გზა კორეელმა **გუი კიმ მინმა** გაიკვლია. გადამწყვეტი შეხვედრა უაღრესად დაძაბული და უშეღავათო გამოდგა. მისი ბედი ერთადერთმა გაფრთხილებამ განსაზღვრა, რომელიც კორეელმა მიიღო და შინჯიკაშვილმა ჩემპიონობა უმძიმეს ბრძოლაში ირგუნა.

სამწუხაროდ, უსახელოდ გავარდა **იოსებ მსხალაძე** (90). არადა, მისიც არანაკლებ გვეიმედებოდა. თანაც, მან ისეთ ფალავანთან წააგო, ძველი, ლამის მივიწყებული იარა ხელახლა გაგვიხსნა - ეგვიპტელ ჰეშამ **მეშბანთან**. ვისაც არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ სწორედ მეშბანმა მოუგო ჩვენს ოლიმპიურ ჩემპიონ ზურაბ ზვიადაურს ორი წლის წინათ, ქაიროში, მსოფლიო პირველობის სანუგეშო წრეში. ჩვენდა სამწუხაროდ, მომდევნო წრეში მეშბანიც დამარცხდა და მსხალაძე სანუგეშოში ვერ გადაერთო.

ამ ერთადერთი მედლით საქართველო უნივერსიადაში მონაწილე 65 ქვეყანას შორის 40-42-ე ადგილებს იყოფს ალჟირსა და ბულგარეთთან ერთად.

დღეს ბანგკოკში კიდევ ორი წონითი კატეგორიის წარმომადგენლები იჭიდავებენ. ქართველთაგან - **მინდია ხომიზური** (66) და **ბექა ბაიდაური** (73). იმედია, უმედლოდ არც დღეს დავრჩებით.

დღესვე იწყება მხატვრული ტანმოვარჯიშეთა ტურნირი, სადაც **ქეთი ხატიაშვილი** და **თათია დონაძე** გამოდიან.

ირაკლი თავაძე

ზოთა (მანჩო) სულამანიძე



67 წლისა გამოაკლდა საქართველოს მოფარიკავეთა ძმურ ოჯახს მისი ერთ-ერთი ღირსეული წევრი, სპორტის საპატიო ოსტატი შოთა სულამანიძე.

ქართული ფარიკაობის ოქროს ეპოქაში, როცა შინ თუ გარეთ ქუხდა შესანიშნავი მუშკეტერების გურამ კოსტავას, რევაზ ცირეკიძის, კოტე გოგელიას, ნუგზარ ასათიანისა და სხვათა სახელები, გამორჩეული ხელწერით მათ მხარდამხარ წარმატებით ასპარეზობდა საფარიკაო ბილიკზე შოთა სულამანიძე.

სწორედ უძლიერესებთან ჭიდილში მრავალგზის მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული დაშნით ფარიკაობაში. საკავშირო შეჯიბრებებში კი მუდამ მეორე ან მესამე პრიზიორი იყო, რაც თავისთავად ნიშნავდა საბჭოთა საფარიკაო ელიტაში დამკვიდრებას. გახდა სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატი.

ნიჭიერი მოფარიკავე, ახოვანი ვაჟკაცი, ბრწყინვალედ მღეროდა და ცეკვავდა, რაც არა მხოლოდ მას, როგორც პიროვნებას, არამედ, საერთოდ, ქართულ სპორტს მატებდა ღირსებას და ავტორიტეტს.

თუმცა ეკონომისტის და იურისტის სპეციალობებს დაეუფლა, ვეტერან სპორტსმენს არასდროს გაუწყვეტია ურთიერთობა მოფარიკავეთა სამყაროსთან. მდიდარ გამოცდილებას უზიარებდა ახალგაზრდებს, ესწრებოდა შეჯიბრებებს, ხარობდა ახალგაზრდების წარმატებებით. იყო ფარიკაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი. მამისგან საფარიკაო ესტაფეტა შვილმა მიიღო - ლაშა სულამანიძე დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელია.

შოთა სულამანიძის ნათელი ხსოვნა საქართველოს მოფარიკავეთა თაობებს გადაეცემა.

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია

გამოსვენება 16.08.15 საათზე, ქაშუეთის ეკლესიიდან

ძალოსნობა

საქართველოს ჩემპიონატი

ასანიძე მშობლიური ქალაქიდან იწყებს



ოლიმპიური ჩემპიონი სპორტს უბრუნდება

ხვალიდან, ზემო იმერეთის კოხტა ქალაქ საჩხერეში უძლიერესი ქართველი ძალოსნები შეიკრიბებიან და საქართველოს ჩემპიონატის მედლებს გაითამაშებენ. უძლიერესი ძალოსნები ჰაიჰარად არ გვითქვამს: მართლაც, ყველა ის სპორტსმენი შეიკრიბა, ვისაც ჩვენში ძალა ერჩის და პირველობა სწყურია - თვით **გიორგი ასანიძეც** კი ასპარეზობს და მშობლიური ქალაქის ფიცარნაგზე გამოსვლა საწყისი იქნება ახალი ციკლისა, რომელსაც გიორგი ოლიმპიურ ფიცარნაგამდე გაივლის. სამწლიანი შესვენების შემდეგ ოლიმპიური ჩემპიონი დიდ სპორტში დაბრუნდა და კვლავაც უმაღლეს მწვერვალებს უმიზნებს...

თუმცა, ამ ეტაპზე ასანიძე, ისევე როგორც ნაკრების სხვა ლიდერები, ოპტიმალურ ფორმაში არ არიან - ისინი გეგმაზომიერად ემზადებიან და ფორმის პიკს ერთი თვის შემდეგ, ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა მიაღწიონ. ერთი თვე, მით უფრო ძალოსნებში, დიდი დრო არ არის, ამიტომ ამჟამინდელი მზადყოფნა დიდად არ უნდა ჩამორჩებოდეს სასურველს.

საქართველოს ნაკრების ძირითადი ბირთვი, რამდენიმე პერსპექტიულ ახალგაზრდასთან ერთად გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატის ახალ გარემონტებულ ძალოსნობის ბაზაზე გადიოდა შეკრებას. ისინი აქ ჩემპიონატის დასრულებისთანავე დაბრუნდებიან და მზადებას გააგრძელებენ.

სასიამოვნოა, რომ ჩემპიონატში ორი ცხინვალელი ძალოსანიც იასპარეზებს - **ალბერტ კუზილოვი** და **არსენ კასაბიევი**.

ჩემპიონატი სამ დღეს გაგრძელდება. ძირითადი ტურნირი 16 აგვისტოს აიღებს სტარტს. ამ დღეს 56, 62 და 69 წონითი კატეგორიების ძალოსნები გამოვლენ, 17-ში 77 და 85, შაბათს კი 94, 105 და +105-ში გაითამაშებენ მედლებს. თუმცა, იმის გამო, რომ საქართველოს წლევანდელ ჩემპიონატზე არნახული ინტერესია მოსალოდნელი და სპორტსმენთა რაოდენობაც ბევრად მეტი იქნება ადრინდელ წლებთან შედარებით, შეიქმნება ორი ჯგუფი - ძლიერი და სუსტი. ამის გამო, 16-ში, ანუ ხვალ, პირველები ფიცარნაგზე სუსტები გამოვლენ. არის კიდევ ერთი გამონაკლისი: ნაკრების წევრები, ანუ ყველა წონის ლიდერები მხოლოდ ბოლო დღეს, შაბათს, 18 აგვისტოს იასპარეზებენ, ამით ჩემპიონატის ფინალურ აკორდს უფრო საინტერესოს გახდიან.

გაგაცნობთ იმ მონაწილეთა ჩამონათვალს, ვინც ბოლო დღეს იასპარეზებენ: **გიორგი ასანიძე, გიორგი მაჭავარიანი, არსენ კასაბიევი, ზვიად სამუკაშვილი, ალბერტ კუზილოვი, რაულ ცირეკიძე, თემურ გოგია, თემერუ ჩხეიძე, ვაჟა ღონღაძე, თორნიკე კოკაია, ალუდა მანაგაძე, გიორგი ბეჟიტაშვილი.**

ჩემპიონატს სპონსორებიც გამოუჩნდა, რაც ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა: ქართულ ძალოსნობას გვერდში გერმანულ-ქართული კომპანია "ჰაიდელბერგ-ჯორჯია" და სამშენებლო კომპანია "ოლიმპიური ვარსკვლავი" უდგანან.

ზვიად შათირიშვილი

ჭიდრეჭი

ლელა ჯავახიშვილი

ჯავახიშვილი უდანაკარგოდაა

რუმინულ პრედიალში მიმდინარეობს დიდი საერთაშორისო ტურნირი, სადაც **ლელა ჯავახიშვილი** და **სოფიო გვეტაძე** თამაშობენ. საკმაოდ მაღალი რეიტინგითა და საპრიზო ფონდით გამორჩეულ ტურნირში ჯავახიშვილი უმაღლეს შედეგს აჩვენებს - ოთხიდან 4 ქულა! 3 ქულა აქვს გვეტაძეს, თუმც არ წაუგია - ორი პარტია ყაიმით დაასრულა.

შეგახსენებთ, ამავე ქალაქში ქართველმა ქალბატონებმა ევროპის ჩემპიონატში ითამაშეს სწრაფ და ბლიც ჭადრაკში; უფრო წარმატებული იქ გვეტაძე იყო, კლასიკურში კი ჯერ ჯავახიშვილი ჯობს...

მეხუთე ტურში ლელას ურთულესი ბრძოლა ელის ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტთან, მესამე ნომერ **ანდრეი ისტრატესკუსთან**. თეთრებით რუმინელი დიდოსტატია.

გვეტაძესაც რუმინელი დიდოსტატი ჰყავს მეტოქედ - **ვლად-კრისტიან იანუ.** აქ თეთრი ფერი ქართველისაა.

4 ქულა კიდევ ორ მონაწილეს აქვს რუმინელ **ალიან ბერესკუსა** და უკრაინელ **პაველ იარაცს.** 3,5-3,5 ქულით 6 მონაწილეა, 3-3 კი დიდ ჯგუფს აქვს...

ზვიად შათირიშვილი

ჩოგბურთი

მიუნხენში, როგორც შინ

22 წლის ქართველ ჩოგბურთელს **ლადო ჩიხლაძეს** ყველა წინაპირობა აქვს, რომ მიუნხენის საერთაშორისო ტურნირზე თავი ისე იგრძნოს, როგორც ორი-სამი კვირის წინათ შინ, თბილისში. მსოფლიოს 407-ე ჩოგანი 10-ათასიანი ტურნირის ორგანიზატორებმა განახლებული რეიტინგის მიხედვით პირველ ნომრად განთესეს. მოგეხსენებათ, ლადო ჩიხლაძე სწორედ მიუნხენში ვარჯიშობს და იქაური კლუბის წევრიც იყო. თუ ამას ლადოს ბოლოდროინდელ სათამაშო ფორმას დავუმატებთ, თამამად ვიტყვით, რომ ქართველი ჩოგბურთელი ტურნირის მოგების უმთავრესი ფავორიტია. მასთან ერთად ტურნირის მოგებას შეეცდებიან მეორე ნომრად განთესილი ბელგიელი **ჟერონ მასონი** (488) და ჩეხი **მარტინ ვაჩეკი** (503).

პირველ წრეში ლადო ჩიხლაძე "უაილდ ქარდით" მიწვეულ გერმანელ **ალექსანდარ ბაინს** (1175) შეხვდება, ეს მატჩი მიუნხენის ცენტრალურ კორტზე დღეს გაიმართება. კორტის საფარი თიხნარია. წყვილთა თანრიგში ლადო ჩიხლაძის მეწყვილე ყაზახი **სირილ აბდუხალიკოვია.** ტურნირის ორგანიზატორებმა ისინი მესამე ნომრად განთესეს და პირველ წრეში დასვენეს.

ისევ მეოცეა

ჩოგბურთელმა ახალგაზრდულ მსოფლიო რეიტინგში მესამე კვირაა, 16 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** მე-20 ადგილზეა, რაც მისი კარიერის საუკეთესო მიღწევაა. ოქსანას 585 ქულა აქვს. მასთან შედარებით 15 წლის **ეკა გორგოძის** მონაგარი უფრო მოკრძალებულია - 60 ქულა, თუმცა ეკას ჯერ ყველაფერი წინ აქვს, ის რეიტინგში 598-ე პოზიციაზეა. ათასეულში კიდევ ერთი ქართველი გოგონაა - **ანა ჯიქია** 41 ქულით 777-ე ადგილზეა. ბიჭებში **ლაზარე კუხალაშვილი** 143-ე პოზიციაზეა, **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 489-ე, ხოლო **გიორგი ჭანტურია** - ზუსტად მეხუთასე. ათასეულში კიდევ სამი ჩვენებურია: 607. **რევაზ ოსაძე**, 614. **ნიკოლოზ ქურდაძე** და 768. **გიორგი ხმიადაშვილი.**

ერთიც და ბადეშია

ერთი გამარჯვებაც და 18 წლის **სოფიო შაფთავა** პენზის (რუსეთი) საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში მოხვდება. სოფიო საკვალიფიკაციო ეტაპზე მე-4 ნომრად არის განთესილი, პირველ წრეში გამარჯვების შემდეგ ის რუს **ვიქტორია კამენსკაიას** (1078) შეხვდა და ორ სეტში მოუგო - 6:3, 6:3. სოფიოს მეტოქე კვლავ რუსია, **მარია ჟარკოვა** (686). გერმანიაში ბილეფელდის ტურნირში (10 ათასი დოლარი) **მანანა შაფაქიძე** გერმანელ იულია ბაბილონს შეხვდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

NBA. მაიამი ჰიტი

რაილი ჰიტში რჩება

"მაიამი ჰიტის" საჩემპიონო ამბიციები მეტწილად **დუეინ უეიდსა** და **შაკზე,** უფრო სწორად კი მათ ჯანმრთელობაზე რომ არის დამოკიდებული, არახალია, მაგრამ მაინც გვგონია, რომ არის კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი ნიუანსი, რაც ფლორიდელთა შანსებზე მოქმედებს – "ჰიტის" მთავარი მწვრთნელი **პატ რაილი,** რომელმაც გუშინწინ ყველაფერს ნათელი მოჰფინა და დაბეჯითებით განაცხადა, გუნდთან სამთავარმწვრთნელო კიდევ სამწლიანი ხელშეკრეულება მაქვს და კონტრაქტის ბოლომდე შიყვანას ვაპირებო.

"ამ სამ სეზონს "მაიამის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე გავატარებ, მერე კი გუნდის მფლობელებთან შეხვედრის მერე გავარკვევთ, თუ ვინ ჩაიბარებს ამ თანამდებობას და გუნდში ჩემი როლის შესახებაც გავისაუბრებთ", - განაცხადა რაილიმ პრესკონფერენციაზე.

62 წლის რაილიმ "მაიამის" მთავარი მწვრთნელის თანამდებობა 2003-ში დატოვა და ორი წლის განმავლობაში გუნდს სათავეში **სტენ ვან განდი** ედგა. ეს უკანასკნელი, "გადაღლილობის" მიზეზით, 2005-ის დეკემბერში პოსტს ტოვებს და ფლორიდელებს თავკაცის სავარძელში კვლა რაილი ჰყავთ.

რაილიმ გუნდი 2005 წელს აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალში გაიყვანა, სადაც "ჰიტი" "დეტროიტთან" სერიას 3:2 იგებდა, მერე კი ბოლო ორი მატჩი და მათთან ერთად, მთელი სერიაც მოსისხლე მტერს გადაულოცა. 2006-ში კი შაკი, უეიდი და სხვები პატის ხელმძღვანელობით ჩემპიონები გახდნენ – "მაიამმ" სუპერფინალში "დალასთან" პირველი ორი შეხვედრის წაგების მერე, შემდეგი ოთხი ჯახი თავის სასარგებლოდ დაასრულა და სერია 4:2 მოიგო.

პრობლემები შარშან შეიქმნა, როდესაც "ჰიტს" თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში უკლებლივ ყველა ლიდერი ტრავმის გამო აკლდებოდა, რამაც გუნდის სატურნირო მდგომარეობა გააუარესა, ფლეი ოფში კი მაშინ ჯერ კიდევ მოქმედი ჩემპიონები ახალგაზრდა და მშიერ "ჩიკაგოსთან" 0:4 შერცხვნენ.

რაილი გუნდში თავის მომავალზე დაფიქრდა და მიუხედავად იმისა, რომ ფლორიდელთა მფლობელებს მისი "ჰიტიდან" წასვლა არ სურდათ, პატმა მოსაფიქრებლად 2 თვე ითხოვა. ჰოდა, ახლა, როდესაც საბოლოო პასუხი ცნობილია, რაილიც მშვიდად არის და "მაიამის" მთელი ორგანიზაციაც.

"საბოლოო გადაწყვეტილების მიღება იოლი არ ყოფილა, რადგან შარშანდელი ფლეი ოფის ასე სამარცხვინოდ დასრულების შემდეგ, ბევრი ნიუანსი გასარჩევი მქონდა. მიმაჩნია, რომ გუნდისთვის სარგებლის მოტანა კიდევ შემიძლია და ვგრძნობ, რომ დამდეგი ჩემპიონატი ჩვენთვის წინაზე გაცილებით წარმატებული იქნება", - ამბობს რაილი, ვისაც გუნდთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადა 2009-2010 წლების სეზონის ბოლოს უმთავრდება. სხვათა შორის, შაკსაც და 2006 წლის სუპერფინალის უძვირფასეს მოთამაშეს, ანუ უეიდსაც იდენტურ დროს უწყდებათ საკონტრაქტო ვალდებულებები გუნდთან.

"იმედი მაქვს, ამ სამი წლის განმავლობაში ჯანმრთელობასა და აუცილებელ მოტივაციას შევინარჩუნებთ, რადგან ამ ორი კომპონენტის გარეშე ჩემპიონობაზე ოცნებაც კი არარეალურია", - მიაჩნია გამოცდილ სპეციალისტს, რომელიც რეგულარულში 1 195 მოგებით **ლენი უილკენსისა** და **დონ ნელსონის** მერე მესამე ადგილზე იმყოფება.



რაც შეეხება ფლეი ოფს, აქ რაილიზე წარმატებულები (ჩემპიონობებით) მხოლოდ **ფილ ჯექსონი** და **რედ აუერბახი** არიან. ჯექსონმა "ჩიკაგოსთან" და "ლეიკერსთან", ხოლო დიდმა რედმა კი უდიადეს "ბოსტონთან" ერთად 9-9 ჩემპიონობა მოიგეს, რაილისთვის კი 2006 წლის ფლორიდული ტრიუმფი მის სამწვრთნელო კარიერაში მეხუთე იყო. მოქმედ თავკაცებში პატის მერე ოთხი ჩემპიონობით "სან ანტონიოს" ბოსი **გრეგ პოპოვიჩია.**

ზურაბ თალაკვაძე

ფოილი ისევ გოლდენ სტეიტში

გამოცდილი ცენტრი **ადონალ ფოილი** "გოლდენ სტეიტში" დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდში მთავარ მწვრთნელად **დონ ნელსონის** მისვლის მერე, ამ მოთამაშემ სასტარტოშიც დაკარგა ადგილი და საერთოდაც, ძალიან ცოტა ხანს ატარებდა მოედანზე, კალიფორნიელთა საკალათბურთო ოპერაციების აღმასრულებელმა დირექტორმა **კრის მულინმა** მასთან თანამშრომლობის გაგრძელება გადაწყვიტა. ფოილის ადგილი სასტარტოში უნიჭიერესმა ლატვიელმა **ანდრის ბიედრინსმა** დაიკავა, მერე კი ნელსონმა ცენტრად ნომინალური ფორვარდი, "პეისერზიდან" გაცვლით აყვანილი **ელ ჰარინგტონი** დააყენა.

ფოილმა 2004-ში გუნდთან ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც 42 მილიონი დოლარი უნდა მიეღო, თუმცა შარშანდელი სეზონის დასრულების მერე, კლუბმა მას ხელშეკრულება დაურღვია და კომპენსაცია გადაუხადა. მერე და მერე კი, მულინმა, ნელსონთან კონსულტაციის შემდეგ, ფოილი მაინც შეინარჩუნა და შემდგომი ორი წლის განმავლობაში 5 მილიონს გადაუხდის.

ფოილი შარშანდელი რეგულარულისას საშუალოდ მხოლოდ 2.2 ქულასა და 2.6 მოხსნას აგროვებდა, ფლეი ოფში კი მას თავის გამოჩენის შანსი მხოლოდ ორჯერ, მეორე წრეში "იუტა ჯაზის" წინააღმდეგ მიეცა. მისი გუნდი ფლეი ოფში 1994 წლის მერე პირველად გავიდა. ფოილი "უორიორზში" 1997 წლიდან ირიცხება.

კლიპერსმა ნაითი დაიმაგა

"ლოს ანჯელეს კლიპერსმა" ერთწლიანი, 2 მილიონიანი კონტრაქტი ვეტერან გამთამაშებელ **ბრევინ ნაითს** გაუფორმა. მოთამაშე რამდენიმე დღის წინათ მისმა წინა გუნდმა "შარლოტ ბობქეთსმა" ტრანსფერზე დააყენა.

ნაითი შარშან "შარლოტის" ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო, რომელიც რეგულარულის მეორე ნახევარში სათადარიგოდ იქცა. მუხლისა და საზარდულის ტრავმების გამო ბრევინმა 37 შეხვედრა გამოტოვა, დანარჩენ 45 მატჩში კი საშუალოდ 9.1 ქულას, 6.6 შედეგიან გადაცემასა და 2.7 მოხსნას აგროვებდა. 12-ჯერ ნაითმა მატჩი 10 და მეტი ზუსტი პასით დაასრულა.

"ბრევინი შეტევაშიც ძლიერია და დაცვაშიც ბოლომდე იხარჯება. სწორედ ამ ფაქტორმა გადაგვაწყვეტინა მასთან კონტრაქტის გაფორმება, რადგან შარშან ჩვენი უკანა ხაზი დაცვაში ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა", - განაცხადა ინტერვიუში "კლიპერსის" გენერალურმა მენეჯერმა **ელჯინ ბეილორმა.**

ბრევინ ნაითს მანამდე თავის 10-წლიან კარიერაში "ატლანტის", "კლივლენდის", "მემფისის", "ფინიქსის", "ვაშინგტონისა" და "მილუოკის" შემადგენლობაში უთამაშია.

TV სპორტი

15 აგვისტო. ოთხშაბათი.

EUROSPORT

09:30 ფეხბურთი. ევროგოლები
09:45 ტრამპლინი. 4 ერის დიდი პრიზი. კურშეველი (საფრანგეთი)
08:15 მძღოლსნობა. ვატენშიდის ტურნირი (გერმანია)
12:45 ფეხბურთი. ახალგაზრდული ჩემპიონთა თასი. მალაიზია. მეოთხედფინალი. ბაიერნი-მილანი
13:45 ფეხბურთი. ახალგაზრდული ჩემპიონთა თასი. მალაიზია. მეოთხედფინალი. მიმოხილვა
15:15 ტრამპლინი. 4 ერის დიდი პრიზი. კურშეველი (საფრანგეთი)
16:00 ველოსპორტი. ბურგოსის ტური. მეორე ეტაპი
17:00 ფეხბურთი. ახალგაზრდული ჩემპიონთა თასი. მალაიზია. მეოთხედფინალი. მიმოხილვა
17:15 ფეხბურთი. ევროგოლები
17:30 ფეხბურთი. UEFA-ს ჩემპიონთა ლიგა. საკვალიფიკაციო ეტაპი. ტულუზა-ლივერპული
18:15 ფეხბურთი. ევროგოლები
18:30 ფეხბურთი. UEFA-ს ჩემპიონთა ლიგა. საკვალიფიკაციო ეტაპი. ტულუზა-ლივერპული
19:30 ფეხბურთი. ევროგოლები
19:45 ჩოგბურთი. ტორონტოს ტურნირი (კანადა).
20:00 ჩოგბურთი. ტორონტოს ტურნირი (კანადა). მესამე დღე
22:00 ყველა სპორტი
22:05 ცხენოსნობა. სუპერლიგა. დუბლინი (ირლანდია)
23:05 ცხენოსნობა. მხედართა კლუბი
23:10 ყველა სპორტი (შერჩევით)
23:15 გოლფი. ევროპული ჩელენჯ ტური
23:45 გოლფი. გოლფის კლუბი
23:50 აფროსანთა კლუბი
23:55 ყველა სპორტი. (შერჩევით)
24:00 ფეხბურთი. UEFA-ს ჩემპიონთა ლიგა. საკვალიფიკაციო ეტაპი. ტულუზა-ლივერპული
01:00 ტრამპლინი. 4 ერის დიდი პრიზი. კურშეველი (საფრანგეთი)

EUROSPORT2

08:30 ახალი ამბები
11:00 მოტო GP. ბრიტანეთის დიდი პრიზი. დონინგტონი (ბრიტანეთი)
12:00 ᲮᲢრემალური სპორტი. ბალტიმორის ტური
13:00 ახალი ამბები
15:00 პლაჟის ფეხბურთი. ევრო ლიგა. ტინიე (საფრანგეთი)
16:00 მოტო GP. გერმანიის დიდი პრიზი. ზაქსენრინგი (გერმანია)
17:00 უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. მოსკოვი (რუსეთი)
17:30 უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. ლონდონი (ინგლისი)
18:00 ᲮᲢრემალური სპორტი. ბალტიმორის ტური
19:00 ახალი ამბები
19:30 სარფინგი. სინკინგ აილენდი
20:00 სარფინგი. ჰავაი
20:30 ახალი ამბები
21:00 ᲮᲢრემალური სპორტი. კლიეულენდის ტური
22:00 უძლიერესი მამაკაცი. სოფიის დიდი პრიზი (ბულგარეთი)
23:00 პროფ. რესტლინგი. ახალი იაპონური ლიგა
24:30 ყველა სპორტი. სპორტი და იუმორი
01:00 ახალი ამბები
02:00 ახალი ამბები
02:30 ჩოგბურთი. ტორონტოს ტურნირი (კანადა). მესამე დღე

SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. მილანი-პსვ
09:00 ახალი ამბები
09:11 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. I ტურის მატჩების მიმოხილვა
10:03 ახალი ამბები
10:15 გზა პეკინისკენ
10:44 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ევერტონი (II ტური)
12:34 ბარსელონა. რონალდინიოს პორტრეტი
13:26 ჩოგბურთი. ხორვატია (კაცები)
15:01 გასართობი პროგრამა
15:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ფულემი (I ტური)
17:13 ათასი და ერთი
17:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (დ)-დუისბურგი (I ტური)
19:30 ახალი ამბები
19:42 რეტრო-ფეხბურთი. 1989 წელი. ინგლისის თასის ფინალი. ევერტონი-ლივერპული
21:45 ჩოგბურთი. პრო-ტურის მიმოხილვა (კაცები)
22:14 გზა პეკინისკენ
22:45 ახალი ამბები
23:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. II ტური. რედინგი-ჩელსი. I ტაიმი (LIVE)
23:50 ახალი ამბები
24:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. II ტური. რედინგი-ჩელსი. II ტაიმი (LIVE)
00:55 ახალი ამბები
01:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (დ)-დუისბურგი (I ტური)
02:54 უკრაინის სპორტის ისტორია
03:10 გასართობი პროგრამა
03:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. I ტურის მატჩების მიმოხილვა
04:34 სპორტკლუბი წარმოგიდგენთ: ი. გეშკო
05:14 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ევერტონი (II ტური)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. III საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩები

ლაციო (იტალია)-დინამო (რუმინეთი)

ლაციო: ბალოტა, კრიბარი (22. კორალოვი), სკალონი, სტენდარდო (46. დე სილვესტრი), ძაური, ბეჰრამი, ლედესმა, მუტარელი, მაური (63. დელ ნერო), პანდევი, როკი.
დინამო: ლობონტი, ბლეი, ნასტასე (31. გოიანი), ჟულაკი, რადუ, კრისტეა, იზვორეანუ, როპოტანი, დანჩულესკუ, ნიკულესკუ, ციკუ (8. ოპრიცა/72. კიაჩუ).
გოლები: 0:1 დანჩულესკუ (21), 1:1 მუტარელი (53)
გაფრთხილება: 3-6
გაძევება: ბეჰრამი (72. ლაციო), მუტარელი (86. ლაციო), გოიანი (90. დინამო)
მაყურებელი: 40 000

რეინჯერსი (შოტლანდია)-ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 1:0

რეინჯერსი: მაკგრეგორი, ბროდფუტი, კუელიარი, ჰატონი, უეირი, ბიზლი (65. ნოვო), ფერგიუსონი, ემდანი, მაკკალოხი, ტომსონი, დარშევილი (65. კუზენი).
ცრვენა ზვეზდა: რანჯელოვიჩი, ანჯელოკოვიჩი, გუეიე, ბრონოვსკი, კასტილიო, კორომანი, ლუკაში, მილიასი, ტუტორიჩი, დორდევიჩი (83. მილოვანოვიჩი), რაშკოვიჩი (70. მოლინა).
გოლი: 1:0 ნოვო (90)
გაფრთხილება: 0-7
მაყურებელი: 35 314

ბენფიკა (პორტუგალია)-კოპენჰაგენი (დანია) 2:1

ბენფიკა: კუიმი, მარინიო, ლეო, ლუიშ ფელიპე, ლუიზაო (37. ადუ), კარდოზუ, კაცურანისი, ნუნუ ასისი (74. ნუნუ გომეზი), პეტი, რუი კოშტა, ბერხესიო (46. ფაბიო კონტრაო).
კოპენჰაგენი: კრისტიანსენი, გრავგაარდი, ჰანგელანდი, იენსენი, გრონკიაერი, ჰათჩინსონი, კვისტი, ნორეგაარდი (89. ზიონკო), ზილბერმაუერი, ვიურცი, ოლბაკი (78. ნორდსტანდი).
გოლები: 1:0 რუი კოშტა (25), 1:1 ჰათჩინსონი (36), 2:1 რუი კოშტა (86)
გაფრთხილება: 4-2
მაყურებელი: 55 722

ვალენსია (ესპანეთი)-ელფსბორგი (შვედეთი) 3:0

ვალენსია: კანისარესი, კანეირა, მარჩენა, მორეტი, ალბიოლი, ალბელდა, ბარახა, ხოაკინი (80. ანგულო), სილვა, ვისენტე (59. მორიენტესი), ვილია (78. გავილანი).
ელფსბორგი: ვილანდი, აუგუსტსონი, ბიორკი, კარლსონი, მობეკი, ჰოლმენი, ილოლა (76. ავდიჩი), იშიზაკი, ა. სვენსონი, კინი (63. ბერგლუნდი), მ. სვენსონი (69. ალექსანდერსონი).
გოლები: 1:0 ვისენტე (6), 2:0 ვილია (58), 3:0 მორიენტესი (70)
გაფრთხილება: 0-0
მაყურებელი: 49 000

ინგლისი

პრემიერლიგა

ბოლტონი-ევერტონი	1:3

ტოტენჰემი: რობინსონი, შიმბონდა, გარდნერი, ქაბული (18. რიკარდო როჩა), სტალტერი (67. რუტლიჯი), ჯენსანი, მალბრანკი, სოკორა, ბენტი (61. დეფო), ბერბატოვი, კინი.
ევერტონი: ჰოვარდი, ჰიბერტი, ლესკოტი, ფ. ნევილი, სტაბსი, იობო, არტეტა, კარსლი, ოსმანი, ანიჩებე (80. უაგიელკა), ჯონსონი.
გოლები: 0:1 ლესკოტი (3), 1:1 გარდნერი (26), 1:2 ოსმანი (37), 1:3 სტაბსი (45)
გაფრთხილება: 2-0; კუთხური: 9-4; ჯარიმა: 16-9; კარში დარტყმა: 8(6)-10(6); ბურთის ფლობა: 49%-51%.
მაყურებელი: 35 716

კონფერენსი

ბარბონი-ბირმინგემი	4:3
შორეხმ ბრინი-უეიმუთი	3:2
პალიფაქსი-ალბრიტონი	2:2
ნორსვიჩი-დერბილსდენი	3:3
რაშდენი-ფარსლი	1:0
სალისბერი-ბრეინტენდი	2:1
სტეფორდი-კიდერმინსტერი	1:3
სტივენეიჯი-პისტონი	2:1

ლიგის თასი

სანთორპი-პართლეული	1:2
ბარნლი-დარლინგტონი	2:1
ბლეკბერნი-პადერსფილდი	1:0
ბრენტფორდი-ბრისტოლი	0:3
ბრისტ. როვერსი-კრ. პალასი	1:1 პენ. 4:1
ბერი-კარლაილი	0:1
კარდიფი-ბრაიტონი	0:0 დ.დ. 1:0
ჩესტერი-ნოტინგემი	0:0 პენ. 2:4
ქოვენთრი-ნოთს ქაუნთი	3:0
დონკასტერი-ლინკოლნი	1:2
ფულჰამი-ბარნლი	4:1
გრიმსბი-ბარნლი	1:1 პენ. 2:4
პორტუმოუთი-იოვილი	4:1
მაკლესფილდი-ლიდსი	0:1
მიდლბროი-იფსვიჩი	3:3 პენ. 5:3
ნორთჰემპტონი-მილუოლი	2:0
ნორვიჩი-ბარნეტი	5:2
ოლდჰემი-მანჩესტერი	4:1
პლიმუთი-უოლსოლი	2:1
პორტ ვალე-რადლეიმ	1:1 პენ. 3:5
პრესტონი-ფულჰამი	1:2
ქუინზ პარკ-ლუტონი	1:2
როჩდალი-სტოკ სიტი	2:2 პენ. 4:2
შეფილდ იუნ-ჩესტერფილდი	3:1
შრიუზბერი-კოლჩესტერი	0:0 დ.დ. 1:0
საუთენდი-ჩელტენჰემი	1:1 დ.დ. 4:1
სტოკპორტი-ბრანტერი	1:0
სუონსი-უოლსოლი	2:0
სუინდონი-ჩარლტონი	0:2
უოტფორდი-ჯილინგემი	3:0
ვესტ ბრომვიჩი-ბორნმუთი	1:0

იტალიის თასი

პიაჩენსა-სასუოლა	2:0
ბოლონია-ვიოლენა	2:1
მესინა-ვიჩენსა	2:2 პენ. 3:4

გერმანია

რეგიონალლიგა (ჩრდ)

პაბერბერი A-ბაგდებერგი	0:0

რეგიონალლიგა (სამ)

ბუნგაუზენი-ზანდჰაუზენი	1:0

საფრანგეთის ლიგის თასი

ბულონი-ანენერი	0:0 პენ. 4:3
კრეტეილი-კლერმონი	0:3
ისტრი-ლავალი	0:4
ლიბურნი-სეტი	1:2
ბური-ნიორი	1:2

შოტლანდიის ლიგის თასი

დანდი იუნ-როს ქაუნთი	1:2
ისტ სტირლინგი-დამბარტონი	4:2
ფორფარი-ისტ უანიი	2:2 დ.დ. 3:2
გრინოკი-ლივინგსტონი	1:0
პიტერჰედი-ქოუდენბეთი	1:0
ალბიონ როვერსი-ბერვიკი	1:1 პენ. 3:4
კლაიდი-ქუინი	1:0
აბერდინი-ეარ იუნაიტედი	1:2
მონროუზი-სტირლინგ ალბ.	5:1
ქუინზ პარკი-სტრანრარი	1:0
რანთ როვერ.-სტ. ჯონსტონი	1:1 პენ. 4:5
სტენაუზეარი-ეარდრი	1:3
ელგინი-ბრეჩინი	1:4

ავსტრია

II დივიზიონი

აუსტრია (ლ)-ბად აუსი	2:1
გრაბ�-შეანენშტადტი	3:0
კერნტენი-კაუფენბერგი	0:3
ლეობენი-აუსტრია A (3)	0:2
პარნდორფი-ლუბენაუ	1:1

პოლონეთი

ვისლა-გურნიკი	2:0

ამხანაგური მატჩები

ვილარეალი-ოსასუნა	3:0
ნეფანსა-ბილბაო	1:3
კალისი-სარაგოსა	2:2

TROFEO TIM

ინტერი-იუვენტუსი	0:0, პენ 5:4*
მილანი-იუვენტუსი	1:0
ინტერი-მილანი	1:0

** - გუნდები თამაშობდნენ თითოტაიმიან მატჩებს. კალაძემ იუვენტუსთან სრულად ითამაშა. თასი მოიგო ინტერმა.*

ჩოგბურთი

ATP. სინგლბი

ლოპესი-მონაკო	4:6, 7:6, 3:6
ტურსუნოვი-ბენეტო	4:6, 6:3, 3:6
გინეპრი-ბიორკმანი	6:3, 6:3
ჰიუიტი-ვავრინკა	7:5, 3:6, 7:6
კოლშრაიბერი-კალერი	7:6, 2:6, 7:6
მატიო-კლემანი	4:6, 2:6
ფერერო-ო. როხუსი	6:1, 3:6, 7:5
სტეპანეკი-ფიში	7:5, 7:6
კანიასი-დელ პოტრო	2:6, 2:6
ბაღდატისი-მიურეი	6:1, 6:2

WTA. ფორნეგო

რაცანო-რეზაი	6:4, 4:6, 6:3
დანილიდუ-დულკო	6:2, 6:3
ა. ბონდარენკო-კამერინი	4:6, 3:6
დეში-გალიარდი	6:4, 7:5
ტიუ-კლეპაჩი	3:6, 1:6
პეერი-გარბინი	6:3, 6:2
ბამერი-ლუა	6:1, 6:2
სუგიამა-დიუბუა	7:6, 4:6, 5:7
სანტანჯელო-შონესი	4:6, 6:7
სრებოტნიკი-ჰენი	1:6, 2:6

ფორმულა 1. ტრანსფერების სეზონი

ალონსო რენოში ბრუნდება?

ფორმულა 1-ში არის ასეთი ტერმინი - "სილი სიზონ", - გიჟური სეზონი, ანუ დრო, როცა პილოტები და გუნდები სამომავლო კონტრაქტებზე ზრუნავენ. ამ პერიოდში ბევრ უსაფუძვლო ჭორს გაიგებთ, ხშირად კი, თუ პილოტი რაიმეს დაჟინებით უარყოფს, შეგიძლია ჩათვალო, რომ რასაც უარყოფს სწორედ ის მოხდება. მოკლედ, "სილი სიზონში" ძაღლი (რეპორტიორი) პატრონს (ნამდვილ ამბავს) ვერ იცნობს (გაიგებს).

არადა, ბევრ ისეთ საინტერესო რამეს გაიგებ, სხვას რომ არ მოუყვე და არ გაუზიარო, არაფრით იქნება. მაგალითად, ახლახან გერმანულ პრესაში (აუტო მოტორ უნდ შპორტი და ბილდ ამ ზონტაგი) გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მომავალ სეზონში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ესპანელი **ფერნანდო ალონსო** კვლავ "რენოს" დაუბრუნდება, "მაკლარენში" კი მის ადგილს გერმანელი **ნიკო როსბერგი** (1982 წლის მსოფლიო ჩემპიონის, ფინელი **კეიო** (**კეკე**) **როსბერგის** შვილია) დაიკავებს.

არავინ იცის, ეს ცნობა რამდენად შეესაბამება სიმართლეს. სამაგიეროდ, ფაქტია, რომ უნგრეთის ეტაპის შემდეგ, ალონსოსა და მის ბრიტანელ თანაგუნდელ **ლუის ჰემილტონს** შორის ურთიერთობა დაიძაბა. მართალია, ახლა პილოტები შერიგებაზე ლაპარაკობენ, მაგრამ, იმავდროულად, ესპანელი ხშირად იმეორებს, რომ "მაკლარენში" თავს უცხოდ გრძნობს. მეორეც, "რენოს" შეფმა **ფლავიო ბრიატორემ** განაცხადა, რომ თურქეთის დიდი პრიზის წინ, ალონსოსთან შეხვედრას გეგმავს. რა თემაზე ისაუბრებენ, ეს ფლავიოს არ დაუზუსტებია. თუმცა ამის გარეშეც ყველაფერი ნათელი უნდა იყოს.

ამ ცნობას კიდევ ერთი სერიოზული საფუძველი გააჩნია. ალონსოს გადაბირების შემთხვევაში, "რენოს" უზარმაზარი თანხის გადახდა მოუწევს იმისათვის, რომ დაფაროს ესპანელის მიერ "მაკლარენთან" კონტრაქტის გაწყვეტის ჯარიმა. ამ თანხის დაფარვას კი თავის თავზე აიღებს ესპანელი პილოტის პირადი სპონსორი, სატელეკომუნიკაციო გიგანტი "ტელეფონიკა".

"მაკლარენში" გადასვლის შემთხვევაში, ანალოგიური ჯარიმის გადახდა მოუწევს როსბერგსაც, ვინც ამჟამად "უილიამსში" გამოდის. მისი გაშვების საწინააღმდეგო კი არაფერი უნდა ჰქონდეს "უილიამსის" შეფ **სერ ფრენკ უილიამსს**, ვისაც სოლიდური სპონსორი ვერაფრით მოუზიდავს და ამდენად, ბიუჯეტის შესავსებად, მუდმივად ფინანსური პრობლემები აქვს.

ალონსოს სხვა ვარიანტიც აქვს, ამ ვარიანტის სახელი კი "BMW"-ა. გერმანული გუნდის შეფი **მარიო თაისენი** გერმანულ გაზეთ "ექსპრესთან" საუბარში არმალავს, რომ გუნდში სუპერკლასის პილოტის მოწვევა სურს. არაა გამორიცხული, რომ ბრიატორე ალონსოს "BMW"-ში მოწყობაშიც დაეხმაროს. სხვათა შორის, ფლაივო ალონსოს ყოფილი მენეჯერია და მასთან ახლო ურთიერთობაც აქვს.

მერაბ ლორთქიფანიძე

ალონსო ბრიატორეს ესაუბრება



დონ კინგი და ფელიქს ტრინიდადი

ვარსკვლავური ჯახი

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს

ექვსი წლის წინათ, კრივის მოყვარულები მოუთმენლად ელოდენ იმ დროის ორი გამორჩეული ვარსკვლავის, **ფელიქს ტიტო ტრინიდადისა** და **როი ჯონს უმცროსის** შეხვედრას. ბრძოლა თითქმის გაჩარხული იყო, მაგრამ სანამ როის შეხვდებოდა, ტიტოს კიდევ ერთი გრანდი, **ბერნარდ ჰოპკინსი** უნდა დაემარცხებინა. მაგრამ ვერ დაამარცხა. ჰოდა, როცა წაგებული იხილა, როი ჯონსმა მასთან შეხვედრაც აღარ ისურვა.

მაგრამ გავიდა ექვსი წელიწადი და განთქმული პრომოუტერი **დონ კინგი** გვამცნობს, რომ ტრინიდადი და ჯონსი მაინც შეხვდებიან ერთმანეთს. მისი თქმით, მოკრივეებს შორის შეთანხმება უკვე მიღწეულია. გადაწყვეტილია ისიც, რომ ბრძოლა მომავალი სეზონის დასაწყისში შედგება. სად? ალბათ ნიუ იორკში, "მედისონ სკვერ გარდენის" არენაზე. რატომ? იმიტომ, რომ "დიდ ვაშლში" ორივე მოკრივე უზარმაზარი პოპულარობით სარგებლობს და იქ მათი ბრძოლით სოლიდური თანხის შოვნა შეიძლება.

პუერტორიკოელი ტრინიდადი ახლა 34 წლისაა მან ორი თვის წინათ განაცხადა, რომ კიდევ ერთხელ აპირებს პროფესიულ სპორტში დაბრუნებას. ოღონდ, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ რომელიმე სახელოვან მოკრივეს დაითანხმებდა. თავის დროზე, ტრინიდადი (42-2, 35 ნოკაუტი) სამ წონით კატეგორიაში (როჭოს, ქვესაშუალო და საშუალო წონები) ფლობდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს, სპორტს კი პირველად ხელი 2002 წელს დაუქნია. ორი წლის შემდეგ კი დაბრუნდა, რათა "მედისონ სკვერ გარდენის" რინგზე ნოკაუტით დაემარცხებინა ნიკარაგუელი **რიკარდო მაიორგა**. მაგრამ შემდეგ **რონალდ ვინკი რაიტთან** წააგო და სპორტდან კვლავ წავიდა.

ჯონსი (51-4, 38 ნოკაუტი) 38 წლისაა და მას ტიტოზე ერთით მეტ წონაში (საშუალო, ზესაშუალო, ქვემძიმე და ზემძიმე) აქვს მოპოვებული ჩემპიონის ქამრები. 2004-2005 წლებში მან ზედიზედ სამი ბრძოლა წააგო, მათგან ზედიზედ ორი ნოკაუტით (**ანტონიო ტარვერთან** და **გლენ ჯონსონთან**). მერე ერთი სეზონი "შვებულებაში" გაატარა, დაბრუნდა და შარშან **ბადი აჯამუს** ქულებით მოუგო. ერთი თვის წინათ კი, ვინმე **ენტონი ჰენშოუსაც** (ვისაც მანამდე ბრძოლა არ წაეგო) ქულებით აჯობა, რითაც ნაკლებად პრესტიჟული გაერთიანების, IBC-ს (კრივის საერთაშორისო საბჭო) ვერსიით, ქვემძიმე წონის ტიტულს დაეუფლა. არადა, ჯონსმა, ვინც ნომინალურად ქვემძიმეწონოსანია, ერთ ტიტულს ზემძიმე წონაში, **ჯონ რუისთან** მოპოვებული გამარჯვებით დაეუფლა.

"ეს უნიკალური, მეგაბრძოლა იქნება, რომელიც ჩვენს სპორტს ძალიან სჭირდება. ვფიქრობ, ჩვენი შეხვედრა კრივის მოყვარულს დააინტერესებს", - განაცხადა ჯონსმა. ამ ბრძოლას ბევრი ათწლეულების შემდეგაც გაიხსენებსო, - კვერს უკრავს დონ კინგი.

სხვათა შორის, ბრძოლა 77 კილოგრამის წონაში შედგება. ეს 4.5 კილოთი მეტია ტრინიდადისთვის ჩვეულ საშუალო წონაზე და ორი კილოთი ნაკლები - ჯონსისთვის ჩვეულ, ქვემძიმე წონაზე. რა თქმა უნდა, ბრძოლისას არცერთი საკრივო გაერთიანების ტიტული არ გათამაშდება.

"არ ვიცი, ტიტო როგორ აპირებს ამ ბრძოლის მოგებას, მაგრამ ერთი რამის თქმა კი შემიძლია. ის ნამდვილი მებრძოლია და გარწმუნებთ, რომ არ ფიქრობდეს, რომ როის დამარცხებას შეძლებს, რინგზე არ გამოვიდოდა, - ამბობს ჯონსის წარმომდგენელი **მაკგი რაიტი**.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: ორივე მოკრივე აცხადებს, რომ ერთმანეთთან შეხვედრის წინ, მოთელვას არ გაივლის. მათი ერთადერთი მოთელვა სპარინგპარტნიორებთან ბრძოლები იქნება. ასე რომ, ისინი ამ შემთხვევაშიც თანაბარ სიტუაციაში იქნებიან.

"ეს დიდი, ძალიან დიდი ბრძოლა იქნება. გავიგე, როის უთქვამს, რომ ამ ბრძოლის დროს, ვიღაც დაეცემა. ვხვდები, ვისაც გულისხმობდა. მაგრამ მე სხვაგვარად ვფიქრობ. როი, ეს ვიღაც შენ იქნები. ამ ბრძოლას მე მოვიგებ", - ამბობს ტრინიდადი.

■ ■ ■

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ WBA-ის ზემძიმე წონის ყოფილი ჩემპიონი, რუსი გიგანტი **ნიკოლაი ვალუევი** რინგს უბრუნდება და 29 სექტემბერს გერმანიის ქალაქ ოლდენბურგში კანადელ **ჟან-ფრანსუა ბერჟერონს** შეხვდება.

ვალუევმა (46-1, 34 ნოკაუტი) თავისი ტიტული აპრილში დათმო მას შემდეგ, რაც უზბეკ **რუსლან ჩაგაევთან** დამარცხდა. ის იქადნის, რომ მალე დაიბრუნებს დაკარგულ ტიტულს და სხვა პრესტიჟულ გაერთიანებათა ქამრებსაც შემოირტყამს. კარიერაში პირველად ნაგები წაგებიდან ბევრი რამ ვისწავლე და ამას ბერჟერონთან ბრძოლაში ნახავთო, - იქადნის რუსი გიგანტი. სხვათა შორის, კანადელს პროფესიულ რინგზე ჩატარებული 27-ვე ბრძოლა მოგებული აქვს, მათგან 19 კი ნოკაუტით.

მერაბ ლორთქიფანიძე

მსოფლიო ჩემპიონატის წინ

ამერიკელები მზად არიან

აშშ-ის მძლეოსნობის ფედერაციამ დაასახელა ქვეყნის ნაკრების შემადგენლობა, რომელიც ოსაკაში, მსოფლიო ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. ნაკრებში სულ მსოფლიოს ათი ჩემპიონია. მათ შორის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 400 მეტრზე სირბილში **ჯერემი უორინერი** და მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სიგრძეზე ხტომაში **დუაიტ ფილიპსი**, ასევე ას მეტრზე სპრინტში მიმდინარე სეზონის საუკეთესო შედეგის ავტორი **ტაისონ გეი**. საერთო ჯამში, ამერიკელთა ნაკრებში 14 ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონატის 22 მედალოსანი იასპარეზებს.

რა თქმა უნდა, ამერიკელებისთვის პრიორიტეტული სპრინტერული დისტანციებია. კაცებში, ას და ორას მეტრზე სპრინტში, ნაკრების მთავარი იმედი გეია, 400 მეტრზე კი -უორინერი. უფრო მეტიც, ბევრი სპეციალისტი მათგან მსოფლიო რეკორდებსაც ელის (გეისგან ას მეტრზე სპრინტში).

ამერიკელებს არანაკლებ ძლიერი მორბენლები ქალებშიც ჰყავთ - 100 მეტრზე **ლორინ უილიამსი**, 200 მეტრზე **ელისონ ფელიქსი**, 100 მეტრზე თარჯრბენში კი - **მიშელ პერი** (სამივე მსოფლიო ჩემპიონია).

ამერიკელი მსოფლიო ჩემპიონები იასპარეზებენ 400 მეტრზე თარჯრბენში (**ბერშონ ჯეკსონი**), სამხტომში (**უოლტერ დევისი**), ბირთვის კვრაში (**ადამ ნელსონი**), ათჭიდში (**ბრაიან კლეი**) და ქალების სიგრძეზე ხტომაში (**ტიანა მედისონი**).

ნაკრებში მოხვედრილ მძლეოსნებზე მოდის ამ სეზონში მსოფლიოს 11 საუკეთესო შედეგი. მათ შორისაც ყველაზე გამორჩეული გეია, ვინც ასი მეტრი 9.84 წამში გაირბინა, ორასი მეტრი კი - 19.62 წამში. ახლახან, სტოკჰოლმში ასპარეზობისას, სეზონის საუკეთესო (მსოფლიოს ყველა დროის მესამე საუკეთესო) დრო (43.50) აჩვენა უორინერმა.

შეგახსენებთ, რომ ტაისონ გეიმ სეზონის დასაწყისში, მსოფლიოს რეკორდის (9.77 წამი) გაუმჯობესებაც შეძლო, მაგრამ შედეგი იმ მარტივი მიზეზის გამო არ ჩაეთვალა, რომ გარბენის დროს, დასაშვებზე ბევრად ძლიერი ზურგქარი ქროდა.

დოპინგის გამო, ამერიკელთა რიგებში ვერ იასპარეზებს 100 და 200 მეტრზე სპრინტში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ჯასტინ გეტლინი**, ვინც თავისი საქმის საარბიტრაჟო სასამართლოში განხილვას ელის და ამის გამო ოსაკაში ვერ გაემგზავრება.

მიმდინარე სეზონში, მსოფლიოს საუკეთესო შედეგები ეკუთვნით აშშ-ის ნაკრების შემდეგ წევრებს: 1 500 მეტრზე მორბენალ **ალან უებს**, 400 მეტრზე თარჯმრბენ **ჯეიმს კარტერს**, ჭოკითმხტომელ **ბრედ უოკერს**, ბირთვისმკვრელ **რიიზი ჰოფას**, შუბისმტყორცნელ **ბრი გრეერს**, 200 მეტრზე მორბენალ ელისონ ფელიქსს, 400 მეტრზე მორბენალ **სანია რიჩარდსს**, ვინც ამჯერად 200 მეტრზე იასპარეზებს, ას მეტრზე თარჯმრბენ **მიშელ პერისა** და 400 მეტრზე თარჯმრბენ **ტიფანი უილიამსს**.

მერაბ ლორთქიფანიძე

ტურნირები

ATP

სინსინატი მასტერსი

ცინცინატი (აშშ, ოჰაიო).
მასტერსის სერია. ჰარდი
საპრიზო ფონდი: 2 450 000 დოლარი

I წრე

ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 10)-ბენიამინ ბეკერი (გერ) 6:3, 6:4; **ივან ლიუბიჩიჩი (ხორვ, 11)**-ამერ დელიჩი (აშშ) 1:6, 7:6(3), 6:3; **მიხაილ იუჟნი (რუს, 12)**-დომინიკ ჰრბატი (სლვკ) 6:3, 6:1; **დავიდ ფერერი (ესპ, 16)**-ჯონ იზნერი (აშშ) 7:6(3), 6:3; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 6:2, 6:2; **იარკო ნიემინენი (ფინ)**-ვინს სპადეა (აშშ) 6:2, 6:0; **კარლოს მოია (ესპ)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ) 7:6(4), 7:6(2); **ნიკოლას კიფერი (გერ)**-მარატ საფინი (რუს) 6:3, 7:6(1); **ხუან იგნასიო ჩელა (არგ)**-ტომ ჰენმანი (ბრიტ) 6:4, 3:6, 6:3; **იურგენ მელცერი (ავსტ)**-ივო კარლოვიჩი (ხორვ) 7:6(4), 7:6(2); **ნიკოლას ალმაგრო (ესპ)**-ფლორიან მაიერი (გერ) 7:6(5), 6:4; **სემ ქვერი (აშშ)**-მარკ გიშელი (საფ) 7:5, 5:7, 6:4

WTA

როჯერს კაპი

ტორონტო (კანადა)
პირველი კატეგორია. ჰარდი
საპრიზო ფონდი: 1 340 000 დოლარი

I წრე

დინარა საფინა (რუს, 9)-კამილ პენი (საფ) 7:6(9), 3:6, 7:5; **პატი შნიდერი (შვეი, 10)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) 6:3, 6:2; **შაჰარ პეერი (ისრ, 11)**-მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ) 7:5, 7:6(7); **კატარინა სრებოტნიკი (სლო, 14)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 5:7, 6:2, 6:2; **ტატიანა გოლოვინი (საფ)**-იულია ვაკულენკო (უკრ) 6:2, 6:1; **ძი იანი (ჩინ)**-სევერინ ბრემონი (საფ) 6:4, 6:0; **შუაი პენი (ჩინ)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან) 6:0, 6:7(4), 6:2; **ტატიანა გარბინი (იტა)**-ლორ გრენვილი (აშშ) 6:2, 6:0; **ფლავია პენეტა (იტა)**-ოლგა პუჩკოვა (რუს) 6:3, 7:5; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა)**-ტამირა პაშეკი (ავსტ) 2:6, 6:3; **რობერტა ვინჩი (იტა)**-ნურია ლაგოსტერა (ესპ) 6:0, 6:0; **დომინიკა ჩიბუკკოვა (სლვკ)**-ანგელიკა ბახმანი (გერ) 6:2, 6:4; **ლუსი საფაროვა (ჩეხ)**-ვარვარა ლეპჩენკო უზბ) 6:4, 6:7(2), 6:1

ეროვნული სპორტული ჟურნალისტიკა

სპორტული ჟანრები

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სურაბიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ნათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ძეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპოჩტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ᵃ,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98,
46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე. გარდა კვირისა